
Arabesque
BALLET MAGAZINE
ლი ბალეტზე
№2(19)'12



KSB

ქორ სტანდარტ ბანკი

55 00 00 www.KSB.ge

ბონივრელი ალტერნატივა

ბრავო! ბრავო! ბრავო!

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის

სახელმწიფო თეატრის გენერალური სპონსორი

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორი

| | |
|---|---|
| სილქლაინი | თქვენი სახლის ტელეფონი |
| სილქკომი | მაღალი სიჩქარის ინტერნეტი |
| სილქტელი | თქვენი უკაბელო ტელეფონი |
| სილქტივი | ახალი თაობის ინტერაქტიული ტელევიზია |

სილქლაინი SILKLINE
სილქკომი SILKCOM
სილქტელი SILKTEL
სილქტივი SILKTV

www.silknet.com

No2(19) 2012

# Arabesque

Ballet Magazine

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

**გამოდის წელიწადში ორჯერ** **Issued twice a year**

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
**ნინო ანანიაშვილი**

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
**NINA ANANIASHVILI**

**მთავარი რედაქტორი** **Editor-in-Chief**
**ილია თავბერიძე** **ILIA TAVBERIDZE**

ინგლისური ტექსტების რედაქტორი — Editor of the English language version
თორნიკე ხომერიკი — TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი — Design by
ბესიკ დანელია — BESIK DANELIA

ფოტოგრაფი — Photographer
ლადო ვაჩნაძე — LADO VACHNADZE

გარეკანზე: ნინო ანანიაშვილი. ლადო ვაჩნაძის ფოტო
On the cover: Nina Ananiashvili. Photo by Lado Vachnadze

ჟურნალში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, გია გოგატიშვილის, ნინო ოჩიაურის, ავთანდილ გურგენიძის ფოტოები.

Photos used in the magazine are by Lado Vachnadze, Gia Gogatishvili, Nino Ochiauri, Avtandil Gurgenidze

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
Printed in "Cezanne" Ltd

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA
ტელ/TEL: +995 32 235 75 03
**ტირაჟი: 300**

UDC(უაკ)792.8
A-70
ISSN 1512-3294

www.ballet.ge

იუბილეს სტუმრები · GUESTS OF THE ANNIVERSARY

04 ანდრის ლიეპა
Andris Liepa

05 იგორ ზელენსკი
Igor Zelensky

06 საბალეტო კოსტიუმების გამოფენა
Exhibition of ballet costumes

პრემიერა · PREMIERE

10 Tampopo

პრეზენტაცია · PRESENTATION

14 ალბომი „ნინო ანანიაშვილი“
The album “Nina Ananiashvili”

ერიკ აშენგრინი

18 ნინო ანანიაშვილი – ცეკვის 30 წელი
Nina Ananiashvili – 30 years of dance
ERIK ASHENGREEN

21 იუბილეს სტუმრები
Guests of the Anniversary

32






ჯონათან გრეი

24 ზეიმი ნინოსთვის
Celebrating Nina

JONATHAN GRAY

29 იუბილეს სტუმრები
Guests of the Anniversary

მარგარეტ უილსი

32 ნინო ანანიაშვილი –
30 წელი სცენაზე
Nina Ananiashvili –
30 years on stage

MARGARET WILLIS

40 Ballet News

41 დასი
The Company

42 ლეგენდარული მარის
ლიეპას საიუბილეო
კონცერტი თბილისში
Anniversary concert of the
legendary Maris Liepa in
Tbilisi

44 ფოტორეპორტაჟი
Photo Report

პრემიერა · PREMIERE

46 ანარეკლი
Reflections

48 Ballet News



ძვირფასო ნინო!

დიდი ბედნიერება იყო თბილისში ჩამოსვლა და პირადად შენთვის შემოქმედებითი იუბილეს მოლოცვა! ძალიან გამიმართლა, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო საკვირველი სპექტაკლები და არაერთი გამარჯვება კონკურსებზე შენთან ერთად. ყოველთვის მემახსოვრება ჩვენი გრძელი და ემოციებით მდიდარი რეპეტიციები. წარმატება, რომელიც ჩვენ არაერთი თეატრის მაყურებლისგან გვხვდა წილად, შენ გეკუთვნის, მე კი ყოველთვის შენი პარტნიორი და აღფრთოვანებული კავალერი ვიყავი! იყავი ისეთივე მშვენიერი და ქალური, როგორც ყოველთვის. ღმერთმა შესანიშნავი ოჯახი გაჩუქა — მშობლები, ძმები, მეუღლე და მშვენიერი ქალიშვილი. ყოველდღე ვლოცულობ შენი ახლობლების და რა თქმა უნდა, შენი ჯანმრთელობისთვის.

ჩვენ გაგვიმართლა, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყვნენ შენი პედაგოგები: ნ. ზოლოტოვა და ა. პროკოფიევი. დიდ თეატრში — რ. სტრუჩკოვა, მ. სემიონოვა. რა ბედნიერებაა, რომ ეს ყველაფერი გვქონდა! წარმატება ჯექსონის ფესტივალზე და საბალეტო კონკურსების ისტორიაში პირველი გრან-პრი, რომელიც საუკეთესო დუეტისთვის მოგვანიჭეს. ასეთი ჯილდო ჯერჯერობით აღარავისთვის მიუციათ. შემდეგ იყო წარმატება ჯ. ბალანჩინის დასში, მ. ბარიშნიკოვის და რ. ნურიევის გაცნობა. ეს ყველაფერი მახსოვს და დარჩება კიდეც ჩემს მოგონებებში...

ჯულიეტას შენს მიერ შექმნილი საკვირველი სახეები გრიგოროვიჩის და ლავროვსკის დადგმებში; ჟიზელის და მაშასი — გრიგოროვიჩის რედაქციებში; ოდეტასა და ოდილიასი, რაიმონდასი, „ბაიდერას“ ნიკეასი, „კორსარის“ მედორასი. გვქონდა განსაკუთრებული ნომერი „განწყობილება“, რომელიც ვ. ელიზარევს ეკუთვნოდა და „სიყმაწვილე“ მ. მარტიროსიანისა.

ეს ყველაფერი ხდებოდა და ბედნიერი ვარ, რომ ბევრის გახსენება შეიძლება. როდესაც ნინა ალოვერტის ფოტოს ვუყურებ მეხსიერება მოგონებებს აჩენს. მადლობა იმისთვის, რომ შენს კავალერად და პარტნიორად ყოფნის ნებას მრთავდი!!! მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის!!!

**ანდრის ლიეპა**



Dear Nina!

How happy I was to come to Tbilisi and congratulate you with your artistic anniversary! I've had the luck of all the remarkable performances and success at contests with you; I will remember our long and emotionally filled rehearsals; The success we had from audiences of all the theatres belongs to you, while I was your partner and amazed cavalier! Stay as beautiful and feminine as always. God has gifted you with a wonderful family – parents, brothers, spouse and beautiful daughter. I pray every day for their well-being, and of course yours.

We've been fortunate to have pedagogues like N. Zolotova and A. Prokofiev, while at the Bolshoi Theatre we worked with R. Struchkova and M. Semyonova. How happy we should be to have had all this in our life! The success at Jackson and the first Grand Prix handed for the best duet in the history of ballet competitions – that prize has not been awarded since. Followed by success in the Balanchine troupe, and meeting with M. Baryshnikov and R. Nureyev. All this was, is and will stay in my memory…

Your remarkable characters – Juliet in stagings by Grigorovich and Lavrovsky; Giselle and Masha in redaction by Grigorovich; Odette and Odile, *Raymonda*, Nikiya from *La Bayadere*, Medora from *Le Corsaire*. We also had our super pieces *Moods* by V. Elizaryev and *Youth* by M. Martirosyan.

All this was there, and I'm happy there is a lot to recall. Memory creates visions when looking at the photo by Nina Alovert. Thank you for letting me be your cavalier and partner! ! ! Thank God for everything! ! !

ANDRIS LIEPA

ძვირფასო ნინო!

მიიღე გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები იუბილესთან დაკავშირებით!

დიადი და მშვენიერი სასცენო მოღვაწეობის 30 წელიწადი – ეს საკვირველი გზაა. ბრწყინვალე და ეკლიანი; დიდებით, აპლოდისმენტებით, გამარჯვებებით მოცული და უმძიმეს შრომასთან დაკავშირებული, რომელიც გვაკაჟებს, წინსვლის გაგრძელებას და მიზნისკენ სწრაფვას გვაიძულებს. ასეთია ჩვენი პროფესია, რომელიც ავირჩიეთ და რომელსაც ვემსახურებით.

მთელი მსოფლიო უკრავდა ტაშს შენს დიად და ღვთიურ ნიჭს, რომელიც წლების გასვლის მიუხედავად არათუ არ ქრება, არამედ კიდევ მეტ საზღვრებს და გონიერებას იძენს. როგორც ამბობენ „მოდის გამოცდილება და ოსტატობა.“

რა თქმა უნდა, იუბილე შედეგების შეჯამებისკენ გიბიძგებს, თუმცა ეს ასევე შემოქმედებითი ძალების კონცენტრაციაა, ახლის ძიება და ახალი საბაბი მომავლის მოლოდინისთვის, რომელშიც ამდენი შესაძლებლობაა, ამდენი შეუსწავლელი თემა ჩვენს პროფესიაშიც კი, რომელშიც ბავშვობიდან ვცხოვრობთ.

გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას ამ გზაზე!

ვნანობ, რომ ამ საღამოს შენს გვერდით ვერ ვარ – ნოვოსიბირსკში ბალეტის ფესტივალი მიმდინარეობს. მაგრამ მაინც შენთან ვარ და შენი ტალანტის წინაშე ქედს ვიხრი.

**სიყვარულით და პატივისცემით,**
**ᲘᲒᲝᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ**

Dear Nina!

Please receive my heartfelt congratulations and best wishes for your anniversary!

Thirty years of grand and beautiful stage art is a remarkable path. Brilliant and thorny; Full of glory, ovation, wins; Tied with hardest work which makes us stronger and gives incentive for moving forward and striving to the goal. Such is the profession we chose and the way we are serving.

The entire world applauded your great, divine talent which not only does not vanish with years, but gains even wider boundaries and more wisdom. As they say, "experience and ability comes to you."

Obviously, an anniversary is an incentive to make conclusions, although it also represents a new concentration of artistic will, new search and new reason to look forward to future full of opportunities and unstudied topics, even in our profession, in which we've been living since childhood.

I wish you health and happiness on this path!

I regret not to be able to be next to you on this evening – a ballet festival is underway in Novosibirsk. But I am still with you and bow to your talent.

With love and respect,
IGOR ZELENSKY

ნინო ანანიაშვილი
Nina Ananiashvili
30 წელი სცენაზე
Years on Stage

# საბალეტო კოსტიუმების გამოფენა

ის, რაც მაყურებლისთვის მხოლოდ სცენიდან იყო ნაცნობი, რამდენიმე დღით ერთ სივრცეში გამოიფინა. ნინო ანანიაშვილის სასცენო კოსტიუმებმა და აქსესუარებმა ეროვნული ბიბლიოთეკის საექსპოზიციო დარბაზი დაიკავა. სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილის ფარგლებში პრიმა-ბალერინას საბალეტო სამყარო ასეთი ფორმით პირველად სწორედ საქართველოში გაცოცხლდა.



გია გოგატიშვილის ფოტოები
Photos by GIA GOGATISHVILI

# Exhibition of Ballet Costumes

Seen only on stage to the audience, Nina Ananiashvili's costumes and accessories have now been exhibited in a single space, showcased in the exposition hall of the National Library. In frame of her 30 years on stage anniversary, the prima ballerina's ballet world has been brought to life this way for the first time, in Georgia.



**ნინო ანანიაშვილი:** „კოსტიუმები ძალიან მიყვარს, მათი შექმნაც კი. დიდი სიყვარულით ვეპყრობი იმ ადამიანებს, ვინც კოსტიუმებს ქმნის. მართლაც ლამაზი კოსტიუმები მაქვს, მაგრამ ვერაფრით წარმომედინა, რომ შესაძლებელი იყო მათი ასე ერთად თავმოყრა და ასე ორიგინალურად, ლამაზად წარმოდგენა. ნინო ჩუბინიშვილმა და მისმა გუნდმა საოცრად ლამაზი გამოფენა გააკეთეს."

**Nina Ananiashvili (prima ballerina):** "I love costumes very much, even creating them. And I have great affection to the people who create costumes. The ones I have danced in are really beautiful, although I could not have imagined that it was possible to gather and present them in such original and beautiful way. Nino Chubinishvili and her team have accomplished a amazingly beautiful exhibition."





The exposition was transformed into a true performance by Nino Chubinishvili. This was easy to spot if you visited the National Library hall from March 14-19, 20:00 onwards. The main concept of the exhibition was that of lighting, and the library block was open for four days, running until 22:00 hours.

გამოფენა მხატვარმა ნინო ჩუბინიშვილმა ნამდვილ პერფორმანსად აქცია. ამაში თავად დარწმუნდებოდით თუ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზს 14-19 მარტს, საღამოს 20 საათიდან ეწვეოდით. გამოფენის კონცეფციაში მთავარი განათება იყო. ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი ოთხი დღის მანძილზე დამთვალიერებლისათვის 22 საათამდე ღია იყო.

**ნინო ჩუბინიშვილი, დიზაინერი:** „მთავარი რაც გვინდოდა ნინოს სამყარო, მისი შემოქმედების მთავარი ნიუანსები წარმოგვედგინა, მისი სულიერი სამყარო წამოგვეწია წინა პლანზე. თუ ეს ჯადოსნური სამყარო ჩანს ამ გამოფენაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გამოფენა შედგა.“

ერთ შეხედვით, უსულო და მტვერდადებულ კარადებს შიგ შეკიდული ბრწყინვალე კოსტიუმების ფერადოვნება აცოცხლებდა. ამ მისტიკურ „თეატრალურ გარდეორობს“ კიდევ უფრო მეტ სიცოცხლეს სძენდა სასცენო კოსტიუმებში გამოწყობილი მანეკენები. ორიგინალურ განათებასთან ერთად გამოფენის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი ის შუქ-ჩრდილები და ვიდეოინსტალაციები იყო, რომლებზეც თამარ ქარუმიძემ და დავით გიორგაძემ იმუშავეს.

ექსპოზიცია ნათლად მეტყველებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასცენო კოსტიუმი ნინო ანანიაშვილისთვის. იმისთვის, რომ სცენაზე შექმნილი ესთეტიკა სრულყოფილებასთან ახლომდგომი გახდეს, პრიმა-ბალერინა თავად მონაწილეობს კოსტიუმების შექმნაში და რამდენიმე ესკიზის



ავტორიცაა. როცა ამ კოსტიუმებს ათვალიერებდით, აუცილებლად გაგახსენდებოდათ პარტიები, რომელშიც ნინო ანანიაშვილი განსაკუთრებით ბრწყინავს. „გედების ტბა“, „დონ კიხოტი“, „რაიმონდა“, „კორსარი...“ სხვადასხვა თეატრების სცენებზე, სხვადასხვა რედაქციის სპექტაკლებისთვის ამ კოსტიუმებს ცნობილი თეატრალური მხატვრები – სოლომონ ვირსალაძე, ალექსეი ვასილიევი, ვიაჩესლავ ოკუნევი და სხვები ქმნიდნენ.

გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში 14 მარტს 20.00 საათზე გაიხსნა. ეროვნულ ბიბლიოთეკას ხუთი დღის განმავლობაში ბალეტის ათასობით მოყვარულმა მიაკითხა.



**Nino Chubinishvili (designer):** “The main thing I aimed for was to present the world of Nina, with main nuances of her art. If this magical world can be seen at the exhibition, we can say it was successful.”



Wardrobes that seemed soulless and dusty at one sight, were filled with life from the inside by the colours of the brilliant costumes. This mystical “theatrical wardrobe” was given even more lively view by the mannequins dressed in stage dresses, while another interesting part of the exhibition, alongside the original lighting, was the shading and video installation created by Tamar Karumidze and David Giorgadze.

The exhibition clearly demonstrated the importance of stage costumes for Nina Ananiashvili. To bring stage aesthetics to perfection, the prima ballerina herself participates in their creation and is an author of several sketches as well. Looking at these costumes, memories of the roles she shone in would come to mind. *Swan Lake, Don Quixote, Raymonda, Le Corsaire* ... On various stages, for different redactions, these costumes were created by well-known theatrical designers like Solomon Virsaladze, Alexei Vassilev, Vyacheslav Okunev and others.

The exhibition opened on March 14 at 20:00. For five subsequent days, thousands of balletomanes visited the National Library.







# Tampopo



ესტონელ ქორეოგრაფს ტეტ კასკს, სცენაზე ნინო ანანიაშვილთან ერთად გატარებული წლების სახსოვრად, სურდა მისთვის განსაკუთრებული საჩუქარი მიეძღვნა. ქორეოგრაფმა სპექტაკლის იდეასა და კონცეფციაზე მრავალი წელი იფიქრა. ასე დაიბადა თანამედროვე, კონცეპტუალური წარმოდგენა სახელწოდებით “Tampopo”, რაც იაპონურიდან თარგმანში ბაბუაწვერას ნიშნავს.

Teet Kask, the Estonian choreographer, wished to dedicate a special gift to Nina Ananiashvili in memory of the stage years spent together. He thought about the idea and concept for many years, and this is how this contemporary, conceptual performance called *Tampopo* – meaning dandelion in Japanese – was born.



სპეციალურად მისთვის დადგმული ერთმოქმედებიანი ბალეტი ნინო ანანიაშვილმა იმ საიუბილეო საღამოზე შეასრულა, რომელიც პრიმა-ბალერინას მიერ სცენაზე გატარებულ სამ ათწლეულს მიეძღვნა. “Tampopo” – სრულიად განსხვავებულია ყველა იმ ბალეტისაგან, რომელიც მაყურებელს აქამდე ნინო ანანიაშვილის შესრულებით უნახავს.

საბალეტო წარმოდგენაში პირველად მიიღო მონაწილეობა „ტრიო პერ ტემ“. არვო პიარტის ნაწარმოებებს (რომელზეც დაიდგა ბალეტი) ფორტეპიანოს, ჩელოსა და ვიოლინოსაგან შემდგარი მუსიკალური ტრიოს წევრები არა მხოლოდ ასრულებდნენ, არამედ თავადაც ამ სპექტაკლის თანამონაწილენი იყვნენ.

შთამბეჭდავი და ორიგინალურია ბალეტის კოსტიუმები, რომელიც მხატვარმა ნინო ჩუბინიშვილმა სპეციალურად “Tampopo”-სთვის შექმნა. შავი, მწვანე, ყვითელი და ლურჯი ფერების გამა, ორიგინალურ თავსაბურავებთან ერთად, მიზანსცენებს საინტერესოს და სანახაობრივს ხდის.

ერთმოქმედებიანი ბალეტის – “Tampopo”-ს პრემიერა 16 მარტს რუსთაველის თეატრის სცენაზე გაიმართა. ეს კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო იყო საიუბილეო პროგრამაში, რომელიც ქართველი პრიმა-ბალერინას მიერ სცენაზე გატარებულ სამ ათწლეულს ეძღვნებოდა.





Ananiashvili danced the one act ballet staged specially for her on the evening dedicated to three decades of her stage career. *Tampopo* is entirely different from all the ballets audience has seen her in.

The performance featured for the first time the Trio Per Te – artists of the piano, cello and violin musical trio not only performed works by Arvo Pärt (on which the ballet is based on), but also participated in the stage performance.

Costumes of the ballet – created by artist Nino Chubinishvili specially for *Tampopo* – are impressive and original. Black, green, yellow and blue make up a palette which – along with original headdresses – make the stage scenes even more interesting and entertaining.

The one act ballet *Tampopo* premiered on the Rustaveli Theatre stage on March 16. It was another pleasant evening of the anniversary program dedicated to the Georgian prima ballerina's three decades on stage.





მარიკა შალიკაშვილი
Marika Shalikashvili




# ალბომი „ნინო ანანიაშვილი“

# The “Nina Ananiashvili” Album

17 მარტს სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ წვეულებათა დარბაზში მსოფლიო ბალეტის სამყაროს ცნობილი სახეები და ქართული საზოგადოების გამოჩენილ ადამიანები, ბალეტის მოყვარულები მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი. შეკრებილ საზოგადოებას საშუალება მიეცა ლეგენდარული ქართველი პრიმა-ბალერინას ნინო ანანიაშვილის მოღვაწეობის ერთ ალბომში თავმოყრილ 30 წლიან ისტორიას გაცნობოდა. ეს ნინო ანანიაშვილის შესახებ გამოცემული პირველი წიგნია.



Reception Hall of the Tbilisi Marriott hotel hosted on March 17 a gathering of many well-known faces of the world ballet, as well great number of distinguished persons of Georgian public and balletomanes. The audience was able to see the 30-year history of Nina Ananiashvili's dancing career compiled in a single album. This is the first published book about Ananiashvili.



პუანტებზე პირველი ნაბიჯებიდან მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენებამდე ნინო ანანიაშვილთან ერთად ეს გზა სახელგანთქმულმა ფოტოგრაფებმაც გაიარეს, რადგან შემდეგ ეს ისტორია ფოტოკადრებით მოეთხროთ. 100-ზე მეტი სასცენო როლი, რეპეტიციები, ბალერინას ცხოვრება საგრიმიოროებსა და მსოფლიოს წამყვანი დარბაზების სცენებზე... პრიმა-ბალერინასთან ერთად კადრში, ყველა ის ადამიანი მოხვდა, ვინც ამ წლებში ნინო ანანიაშვილის შემოქმედების ერთგვარი მონაწილე გახდა – სასცენო პარტნიორები, ქორეოგრაფები, იმპრესარიოები, პედაგოგები, ბალეტის კრიტიკოსები. ფოტოებით მოთხრობილი საბალეტო ისტორია კიდევ უფრო შთამბეჭდავი რომ გაეხადათ, წიგნის ავტორებმა ყველა კადრს მსოფლიო პრესის გამოხმაურებები დაურთეს. წიგნი-ალბომისთვის წინასიტყვაობა ნინო ანანიაშვილის შემოქმედების ერთგვარმა მემატიანემ მერილიზ სევილია-გონზაგამ დაწერა, რომელმაც ჯერ კიდევ 1989 წელს ქართველი პრიმა-ბალერინას ვებ გვერდი შექმნა.



ფოტო ალბომის პრეზენტაციას, რომელიც ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების და პირადად ქალბატონების სარა ვილიამსონის და მიშელ დანის ორგანიზებით გაიმართა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე უძღვებოდა. თბილისი მერიოტში შეკრებილ სტუმრებს მან საიუბილეო წლის ფარგლებში გამოცემული წიგნი წარუდგინა და ის ადამიანები აღნიშნა ვინც ალბომზე იმუშავა.



დავით საყვარელიძე და ნინო ანანიაშვილი
DAVID SAKVARELIDZE, NINA ANANIASHVILI

ემოციებით სავსე და აღელვებული ჩანდა თავად პრეზენტაციის მთავარი გმირი ნინო ანანიაშვილი. ჟურნალისტებს მან ისიც კი გაუმხილა, რომ სამი ათწლეული სცენაზე თუნდაც ამ ალბომისთვის ღირდა. პრიმა-ბალერინამ განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბატონ ნიკოლოზ რურუას დიდი წვლილი ამ ალბომის გამოცემაში. ბატონი ნიკა გახლავთ ამ წიგნის იდეის ავტორი. გამოცემა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.



სარა ვილიამსონი და მიშელ დანი
SARAH WILLIAMSON, MICHELLE DANNE

განსაკუთრებით აღსანიშნავია შ.პ.ს „სეზანი“, რომლის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულიყო და მაქსიმალურად განხორციელებულიყო ის ჩანაფიქრი, რომელიც დიზაინერ ბესიკ დანელიას ეკუთვნის. სუპერგარეკანის, გარეკანისა და შიგთავსის ქაღალდი ექსკლუზიურად მილანში იქნა შეძენილი. ეს გახლავთ ცნობილი პოლიგრაფიული ბრენდი „ფედრიგონი“, რომელმაც ალბომის დასტამბვის შემდეგ მისი ფოტოები და ინფორმაცია საკუთარი კომპანიის ვებ-გვერდზეც გამოაქვეყნა.



ის, რაც აქამდე ქართველი პრიმა-ბალერინას შემოქმედების თაყვანისმცემლებს მხოლოდ ჟურნალების გარეკანზე, პოსტერებსა და ბილბორდებზე უნახავთ ახლა ერთი ალბომის ფურცლებზე გაერთიანდა. ალბომის ავტორს ილია თავბერიძეს მოუხდა შეესწავლა ნინო ანანიაშვილის განვლილი შემოქმედებითი გზა. კრებულზე ავტორი და დიზაინერი თითქმის ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

Alongside Nina, the path from her first steps in pointe shoes to the leading international theatre stages was covered by the photographers capturing her, so that they could then tell the story with the pictures. More than 100 roles, rehearsals, life of the ballerina in make up rooms and stages of the leading international halls... Apart from Nina, the photos captured all those people who have been part of her art during these years – stage partners, choreographers, impressarios, pedagogues, ballet critics. To make the story told by photographs even more impressive, authors of the book combined them with reviews by the international media. The foreword to the abum was completed by Marylis Sevilla-Gonzaga, long-time chronicler of Nina who created the website of the Georgian prima ballerina back in 1989.

Presentation of the photo album - organized by Friends of the Georgian Ballet and personally Sarah Williamson and Michele Dunn – was led by David Sakvarelidze, Manager of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. He presented the book published in frame of the anniversary year and noted the people who worked on the publication.

Nina Ananiashvili – the central figure of the presentation – looked full of emotions. She even told the journalists that her thirty years on stage were worth for the book itself. The prima ballerina noted that the great share – including the idea itself – of publishing the album was down to by Nikoloz Rurua, Minister of Culture and Monument Protection of Georgia. Publishing was carried out with support of the Ministry.

Special mention should go to the Cezanne LTD., representatives of which did all they could to ensure the book was complete in a high print quality and that it represented the idea of the designer Besik Danelia. Paper for super cover, cover and content pages was exclusively purchased in Milan, Italy from the well-known printing brand Fedrigoni, who published the news and images of the album upon its printing on their website.

All that the admirers of the Georgian prima ballerina's career could only see in magazines, posters and billboards now covers the pages of a single album. Ilia Tavberidze – author of the album – had a challenge of meticulously studying Nina Ananiashvili's career path. The author and designer worked on the compilation for almost a year.



ანდრის ლიეპა და ნინო ლაპიაშვილი
ANDRIS LIEPA, NINO LAPIASHVILI



ჯონ ბასი და
ჰოლი ჰოლცერ ბასი
JOHN BASS,
HOLLY HOLZER BASS



ილია თავბერიძე, ნინო ანანიაშვილი და ბესიკ დანელია
ILIA TAVBERIDZE, NINA ANANIASHVILI, BESIK DANELIA



ნინო ანანიაშვილი და ტატიანა რასტარგუევა
NINA ANANIASHVILI, TATIANA RASTORGUEVA



# ნინო ანანიაშვილი – ცეკვის 30 წელი

# Nina Ananiashvili – 30 years of dance

**ერიკ აშენგრინი**
*ბალეტის კრიტიკოსი, დანია*
Erik Aschengreen

Ballet.2000.
*The Internacional Dance Magazine* №229




მშვენიერმა, ფანტასტიურ ფორმაში მყოფმა და გამორჩეული ქარიზმის მქონე ნინო ანანიაშვილმა მარტის შუა რიცხვებში, თბილისში, მოცეკვავის რანგში, მისი 30 წლის იუბილე იზეიმა. დიდი თეატრის ყოფილი ვარსკვლავი ახლა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი და დასის პრიმა-ბალერინაა.

Beautiful, in a fantastic shape and with her exceptional charisma Nina Ananiashvili celebrated mid-March in Tbilisi (the capital of Georgia) her 30 years as a dancer. The former Bolshoi star is now artistic director of the Georgian National Ballet as well as the prima ballerina of the company.

იუბილე ნამდვილი ზეიმი გამოდგა, რომელზეც ანანიაშვილის ყოფილი პარტნიორები — ანდრის ლიეპა, ალექსეი ფადეეჩევი, იური პოსოხოვი და სერგეი ფილინი, ასევე, საერთაშორისო კრიტიკოსები და თაყვანისმცემლები მონაწილეობდნენ მთელი მსოფლიოდან. გალა წარმოდგენისთვის, რომლითაც სრულდებოდა საზეიმო დღეები, მოცეკვავეთა ვარსკვლავური შემადგენლობა იყო მომზადებული, მათ შორის ანხელ კორელა ამერიკის ბალეტის თეატრიდან; ხოსე მანუელ კარენიო; ანასტასია და დენის მატვიენკო სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრიდან და ახალგაზრდა მოცეკვავეები ინგლისის ნაციონალური ბალეტიდან, დიდი თეატრიდან, ჯოფრი ბალეტიდან, ინგლისის სამეფო ბალეტიდან და ჩინური წყვილი დონ თინგ ხინგი და ზონგ რენიც კი, ლიაონინგის საბალეტო დასიდან. მათ ავგუსტ ბურნონვილის „სილფიდა“ იცეკვეს, რომელიც ფრენკ



The anniversary celebration was an event. Nina Ananiashvili's former partners like Andris Liepa, Alexei Fadeyechev, Yuri Possokhov and Sergei Filin had come, as well as international critics and fans from around the world. For the gala, which ended the festivities, a star array of dancers were lined up, among others Ángel Corella from American Ballet Theatre, José Manuel Carreño, Anastasia and Denis Matvienko from The Marinsky Theatre in St. Petersburg and young dancers from English National Ballet, The Bolshoi Ballet in Moscow, The Joffrey Ballet, The Royal Ballet, and even a Chinese couple Don Ting Xing and Zhong Ren from Lianoning Ballet of China. They danced August Bournonville's *La Sylphide* staged by Frank Andersen, a former artistic director of The Royal Danish Ballet in Copenhagen. August Bournonville is close to Nina Ananiashvili's heart. When Kirsten Ralov from The Royal Danish Ballet in 1989 directed a Bournonville programme at The Bolshoi, Nina Ananiashvili was the only one of the much acclaimed Bolshoi stars who was interested the Bournonville style, which is in no way spectacular to Russian dancers and a Russian audience. As an artist Nina Ananiashvili is full of curiosity, and after this introduction to Bournonville at the Bolshoi, she came to Copenhagen to learn more about this French-Danish style carefully preserved from the 19th century. No other foreign ballerina has danced that many Bournonville roles at his home stage in Copenhagen. For her 30 years jubilee as a dancer Nina Ananiashvili amazed her audience. With her Georgian partner Vasil Akhmeteli she danced the first night Frederick Ashton's lyrical chamber ballet *Marguerite and Armand* where she shows that she is much more than an excellent dancer. She is also a dramatic and compelling actress. Ananiashvili's artistic curiosity was reflected in the fact that she had ordered a brand new ballet *Tampopo* by Teet Kask from Estonia. A contemporary work that to the music by Arvo Pärt played in the irony and the acrobatic, but unfortunately did not have a convincing artistic line. Towards the end of the ballet Nina Ananiashvili stood with her feet in a box. With her sweet smile she opened her arms as if to say "What is all this about?" And that thought had also crossed the mind of the audience. The programme for the big gala was not just a dance tribute to Nina Ananiashvili. She was a centre-figure herself and almost knocked the audience out by going on stage four times. With Vasil Akhmetelli and Denis Matvienko she danced a stunning pas de trois from *Le Corsaire*, where she conquered us with her beauty, charm and amazing technique – and where 32 fouettés were no obstacle. She was charming to her four cavaliers in the *Waltz* that Alexei Ratmansky has created especially for her. From a brand new work, *Reflections* (choreographed by Yuri Possokhov), she danced excerpts and as an encore she kicked her way through a Cossack dance on pointe. These days in Tbilisi were a warm tribute to a rare, sympathetic and wonderful artist.

ანდერსენის, დანიის სამეფო ბალეტის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის დადგმულია. ავგუსტ ბურნონვილი ანანიაშვილისთვის ძვირფასია. როდესაც დანიის სამეფო ბალეტის ქორეოგრაფმა კირსტენ რალოვმა 1989 წელს, მოსკოვის დიდ თეატრში, დანიელი ქორეოგრაფის პროგრამა დადგა, ნინო ანანიაშვილი ერთადერთი იყო მოსკოვური დასის ფართოდ აღიარებული მოცეკვავეებიდან, რომელმაც ბურნონვილის სტილით დაინტერესება გამოხატა; სტილით, რომელიც რუსი მოცეკვავეებისთვის და მაყურებლისთვის ნამდვილად არაა შთამბეჭდავი. როგორც არტისტი, ნინო ანანიაშვილი სავსეა ინტერესით და ბურნონვილის შემოქმედების გაცნობის შემდეგ ის კოპენჰაგენში ჩავიდა XIX საუკუნის ფრთხილად შემონახული

შედგა ახალი ბალეტის "Tampopos" პრემიერა, რომელიც ესტონელი ტეტ კასკის ნაშრომია და თანამედროვე დადგმას წარმოადგენს არვო პიარტის მუსიკაზე. ბალეტი, რომელიც ირონიითა და აკრობატიკით იყო გათამაშებული სამწუხაროდ, არ ფლობს დამარწმუნებელ არტისტულ ხაზს. ბალეტის დასასრულს ანანიაშვილი ყუთში იდგა და მშვენიერ ღიმილთან ერთად მკლავები გაშალა, თითქოს ამბობდა: „რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“. იგივე კითხვამ ალბათ მაყურებელსაც გაუელვა თავში. დიდი გალას პროგრამა არა მხოლოდ ანანიაშვილის ცეკვისადმი მიძღვნილი ზეიმი იყო – ის თავად ასრულებდა ცენტრალური ფიგურის როლს და მაყურებელი თითქმის გააგიჟა სცენაზე ოთხჯერ გამოსვლით. ვასილ ახმეტელსა და დენის მატვიენკოსთან ერთად მან



ხორუმი
KHORUMI

ამ ფრანგულ-დანიურ სტილის ახლოს გასაცნობად. კოპენჰაგენში არც ერთ სხვა უცხოელ ბალერინას არ შეუსრულებია ბურნონვილის ამდენი ბალეტი. მისი 30 წლის იუბილეზე ანანიაშვილმა მაყურებელი გააოცა. ქართველ პარტნიორთან ვასილ ახმეტელთან ერთად მან პირველ საღამოს ფრედერიკ ეშტონის ლირიკულ-კამერული ბალეტი „მარგარიტა და არმანი“ იცეკვა, სადაც აჩვენა, რომ უბრალოდ შესანიშნავ მოცეკვავეზე მეტია. ის დრამატულ და დასრულებულ მსახიობს წარმოადგენს. მისი შემოქმედებითი ინტერესი იმაშიც გამოიხატა, რომ სწორედ მისი სურვილით

„კორსარის“ პა დე დე შეასრულა, სადაც მომხიბვლელობით, შარმით და საოცარი ტექნიკით დაგვიპყრო – 32 ფუეტე მისთვის არავითარ წინააღმდეგობას აღარ წარმოადგენდა. მან შარმით სავსე ხასიათი გადმოსცა ოთხი კავალერის მიმართ ალექსეი რატმანსკის მიერ მისთვის დადგმულ „ვალსში“; იცეკვა ნაწყვეტები იური პოსოხოვის უახლესი ბალეტიდან „ანარეკლი“ და დამატებით წარმოადგინა ლეკური ცეკვა პუანტებზე. თბილისში ამ იშვიათი, მომხიბვლელი და საოცარი არტისტისთვის მიძღვნილი სითბოთი სავსე დღეები გავატარეთ.

## ფრენკ ანდერსენი

**დანიის სამეფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი 1985-2008**

## FRANK ANDERSEN

Artistic director of the Royal Danish Ballet 1985-2008



ფრენკ ანდერსენი
და ერიკ აშენგრინი
FRANK ANDERSEN,
ERIK ASCHENGREEN

„ამ საღამოს განსხვავებული ნინო ვიხილეთ, იმასთან შედარებით, რასაც ჩვეულებრივ ვხედავთ. ნასიამოვნები დავრჩი, რომ მას „თამაში“ არ უცდია და სწორედ ისეთი წარმოგვიდგა, როგორიც არის. ეს სცენაზე მანამდე არ გვინახავს და სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა. მომეწონა მისი ცეკვაც – პუანტზე და პუანტის გარეშე – თუმცა სწორედ ეს „საზღვრების გადაკვეთა“ იყო გამოწვევა მისთვის და მაყურებლისთვის“.

“I think we saw a different Nina tonight, compared to what we usually see. I thought it was very refreshing and the most exciting thing was to see Nina being herself. I liked very much that she did no “acting” and behaved as we know her. I loved when she danced – on pointe or without it – but I think this “crossing of borders” for her and for the audience was quite challenging, and a mixture of exciting confrontations which I really liked.”



ხოსე მანუელ კარენიო,
ნინო ანანიაშვილი
და ტეტ კასკი
JOSE MANUEL CARREÑO,
NINA ANANIASHVILI,
TEET KASK

## JOSÉ MANUEL CARREÑO

Principal of the American Ballet Theatre 1995-2011

“First of all Nina is a wonderful person, friend, colleague and partner. I have been dancing with her for many years and it is a joy, really enjoyable to just dance with her – no tension, just going to the stage and having fun. That is what dance should be, and that is what it is with Nina – having fun.

This is my first time in Georgia and I’m leaving tomorrow with a great impression of this Company and Nina still being in shape. I’m already looking forward to coming back.”

## ხოსე მანუელ კარენიო

**ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი 1995-2011**

„ნინო პირველ რიგში საოცარი პიროვნება, მეგობარი, კოლეგა და პარტნიორია. მასთან მრავალი წლის განმავლობაში ვცეკვავდი და ეს ნამდვილი სიამოვნებაა – დაძაბულობის გარეშე, უბრალოდ სცენაზე გასვლა და გართობა. სწორედ ასეთი უნდა იყოს ცეკვა და სწორედ ასეთია ცეკვა ნინოსთან.

საქართველოში პირველად ვარ და ამ დასის და ფორმაში მყოფი ნინოსგან დიდი შთაბეჭდილებით დავტოვებ აქაურობას. უკვე მონდომებით ველი აქ დაბრუნებას“.







## ÁNGEL CORELLA

**Principal of the American Ballet Theatre**

"I danced with Nina for almost 10 years for American Ballet Theatre – she was my regular partner there and we danced pretty much everything, starting with *La Sylphide* and through the Company's *The Snow Maiden*, *Swan Lake*, *Giselle* and more. To me she was like one of my most important partners because not only is she a very giving person and a great artist, but also one of those dancers who, when they go on stage, always carry an energy, which is very similar to the way I approach dance, by giving 100% on stage. So in this sense we connected very well from the beginning. It was a great honour to participate in her last show for the American Ballet Theatre, partnering her as Siegfried. And it is an honour as well to be here for the 30th anniversary of her stage performances.

I had the opportunity to dance with the Georgian artists in Japan in Don Quixote, as well as in galas around the world. Not only are they wonderful dancers but also they carry the energy that Nina gives to the Company. Everyone is really sweet and makes me feel very welcome every time I come here. The energy and even look of the people here is very similar to the Spanish so I feel very comfortable. I feel at home here."

## ანხელ კორელა

**ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი**

„ნინოსთან თითქმის 10 წელიწადის განმავლობაში ვცეკვავდი ამერიკის ბალეტის თეატრში – ის ჩემი რეგულარული პარტნიორი იყო და პრაქტიკულად ყველა დადგმა შევასრულეთ „სილფიდათი“ დაწყებული, „თოვლის დედოფლის“, „გედების ტბის“ და „ჟიზელის“ ჩათვლით. ის ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო, რადგან არა მხოლოდ გულუხვი პიროვნება და დიდი არტისტია, არამედ ერთ-ერთია იმ მოცეკვავეებიდან, რომლებიც სცენაზე გასვლისას თან ენერგიას ატარებს. ეს ჩემს მიდგომას ჰგავს, როდესაც სცენაზე ბოლომდე ვიხარჯები. ამიტომ, ამ მხრივ ერთმანეთს თავიდანვე კარგად გავუგეთ. დიდი პატივი იყო ამერიკის ბალეტის თეატრში მისი ბოლო გამოსვლის აღსანიშნავ სპექტაკლში მონაწილეობა, სადაც მას პარტნიორობა ზიგფრიდის როლში გავუწიე და პატივია მისი შემოქმედებითი კარიერის 30 წლის აღსანიშნავ იუბილეზე აქ ყოფნაც.

თქვენს დასთან ერთად გამოსვლის შესაძლებლობა იაპონიაში გასტროლზე „დონ კიხოტის“ შესრულებისას მქონდა, ისევე, როგორც გალა სპექტაკლებზე მსოფლიოს გარშემო. ისინი არა მხოლოდ საოცარი მოცეკვავეები არიან, არამედ ნინოს მიერ დასისთვის გადაცემულ ენერგიას ატარებენ. აქ ყველა მეტად თბილია ჩემს მიმართ და ყოველი ჩამოსვლისას კომფორტულად მაგრძნობინებს თავს. აქაური ადამიანების ენერგია და გარეგნობაც კი ძალიან ჰგავს ესპანელებისას, ამიტომ აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში.“







## ენტონი რასელ-რობერტსი

**ინგლისის სამეფო ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორი 1983–2009**

„ნინო არავის ჰგავს. მას აქვს საოცარი, გამომხატველი თვალები და ის ყველას უყვარს. მოუვლია უამრავი დასი მსოფლიოს გარშემო. მე ინგლისის სამეფო ბალეტში ოცდაექვსი წლის განმავლობაში ვმუშაობდი და ნინოს მოწვევის ერთ-ერთი მონაწილე ვიყავი. როდესაც დასში ახალი პერსონა ჩამოდის, გარკვეული შურის მომენტი ჩნდება, თუმცა მისი ჩამოსვლიდან ხუთი წუთის შემდეგ ნინოში უკვე ყველა შეყვარებული იყო და ეს დღემდე გრძელდება. ის ფანტასტიური არტისტია სცენაზე, პირად ურთიერთობებში კი გააჩნია საოცარი, თავისებური იუმორი. ის ყველას გვიყვარს“.

## ANTHONY RUSSELL-ROBERTS

**Administrative Director of the Royal Ballet 1983–2009**

"Nina is like nobody else. She has those wonderful eyes which are so expressive and everybody loves her. She has guested so many companies around the world – I used to work for the Royal Ballet for twenty-six years and was part of the invitation to her. When a guest arrives at a company, there is kind of a jealousy, but with Nina, everybody grew to love her after five minutes and have stayed that way since then. She is such a fantastic artist on stage and as a private personality she has this wonderful impish sense of humour. We all love her."

## ალექსეი ფადეეჩევი

**როსტოვის ოპერისა და ბალეტის სახლმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**

„ნინო დიდი ბალერინაა, რომელიც მშვენიერ ფორმაშია და საოცრად ცეკვავს. ჩემი აზრით, ის დღესდღეობით საუკეთესოა. ასე რომ მისი ასეთ ფორმაში ხილვა ნამდვილად სასიამოვნოა. მსურს, კიდევ მეტი წარმატება, საცეკვაო მზადყოფნა და მაყურებლისთვის ამდაგვარი სიამოვნების მინიჭება ვუსურვო“.

## ALEXEI FADEECHEV

**Artistic Director of the Rostov Opera and Ballet State Theatre**

"Nina is a great ballerina who is in great shape and dancing wonderfully. In my view she is one of the best today, so it is really pleasing to see her in great form. I would like to wish her more success, more of such great performing shape, and to continue giving such joy to her audience."



ალექსეი ფადეეჩევი, ტატიანა რასტორგუევა, ვადიმ პისარევი, სერგეი ფილინი
ALEXEI FADEECHEV, TATIANA RASTORGUEVA, VADIM PISAREV, SERGEI FILIN



# ზეიმი ნინოსთვის
# Celebrating Nina

ჯონათან გრეი
Jonathan Gray

Dancing Times
მაისი 2012
May 2012




ჯონათან გრეიმ ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებებზე დასასწრებად თბილისში იმოგზაურა. ქვემოთ ის დიდი ბალერინასადმი საკუთარ თაყვანისცემას გამოხატავს.

Jonathan Gray journeyed to Tbilisi in Georgia, to see the celebrations marking Nina Ananiashvili's 30 years on stage. Here, he offers a personal tribute to a great ballerina.

არც ისე დიდი ხნის წინ, ბალერინებისათვის, კარიერის გაგრძელება ორმოცი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ან კიდევ უფრო დიდხანს, უჩვეულო არ იყო — გავიხსენოთ ანა პავლოვა, გალინა ულანოვა, მარგო ფონტეინი, მაია პლისეცკაია, ანტუანეტ სიბლი და ლინ სეიმური. ბალეტომანებში აღფრთოვანებას იწვევდა ამ მოცეკვავეთა გამოსვლებში ასაკთან ერთად გაჩენილი ვარსკვლავურობა და მედიდური სიმწიფე, რომელსაც ისინი ცოცხლად ან ფილმების მეშვეობით აჩვენებდნენ და ბალეტის ხელოვნებას, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების შედეგად, აკაშკაშებდნენ. მოიძიეთ ზემოთნახსენები გვარებიდან რამდენიმეს ჩანაწერი YouTube-ზე და მიხვდებით, რაზე ვსაუბრობ.

თუმცა დღეს, ეს განსაკუთრებული, „დასრულებული" ბალერინები იშვიათობა გახდა. ერთ-ერთი ბალერინა, რომელმაც ჩემზე მისი კარიერის დასაწყისშივე მოახდინა უეცარი და ამავე დროს ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც დღემდე თან დამყვება, საქართველოში დაბადებული ნინო ანანიაშვილი იყო. მისი ცეკვა პირველად 1986 წელს, მოსკოვის დიდი თეატრის კოვენტ გარდენში გამოსვლისას, ვიხილე. დასი „რაიმონდას" ასრულებდა, თუმცა ანანიაშვილი წამყვან როლში არ იყო — ის პირველი მოქმედების გამოცხადების სცენის პირველ სოლოში გამოჩნდა, მაგრამ უდიდესი ეფექტი მოახდინა. ახლაც მახსოვს მისი ცეკვა და მუსიკალობა, გრძელი კიდურები და შავთმიანი მშვენება სცენაზე. პირველ რიგში კი მისი პიროვნული

Not so very long ago, it was not unusual for a ballerina's career to last well into her forties and beyond – just think of some of the great names from the past, like Anna Pavlova, Galina Ulanova, Margot Fonteyn, Maya Plisetskaya, Antoinette Sibley or Lynn Seymour. As a balletomane, one revelled in the star quality and the glorious maturity these women brought to their dancing, either through live performance or the medium of film, illuminating choreography with an understanding gained through years of experience. Just search a couple of the names listed above on YouTube, and you will see what I mean. Today, however, those special "mature" ballerinas have become a rarity because the short-sighted belief that dance is all about "youth" has saturated just about every ballet company you can think of. One ballerina who made an immediate and lasting impression on me right from the beginning of her career was the Georgian-born Nina Ananiashvili, whom I first saw dance when the Bolshoi Ballet appeared at Covent Garden in 1986. The ballet in question was *Raymonda*, but Ananiashvili wasn't performing the title role that evening – she appeared only in the first solo of the Act I vision scene, but she made a huge impact. I can still recall the authority and musicality of her dancing that night, her long-limbed, dark-haired beauty, and, above all, the warmth of her personality. I marvelled at her fellow dancers, too, but it was Ananiashvili who stood out for me, a dancer I instantly and unconditionally admired. I thought to my 19-year-old self, "I'm going to remember that name, even if it is difficult to pronounce, because she's going to be really, really, really good!" And so I did, and so she was. That summer, I saw Ananiashvili again in *Les Sylphides*, and then, later, when the Bolshoi appeared at the London Coliseum, in *Giselle, Swan Lake, Raymonda*, and Don Quixote. I became a fan. A friend gave me a signed photograph of her rehearsing in the studio with her coach, Raissa Struchkova, I bought her videos, and I went to as many of her thrilling performances as I could, especially when she appeared as a guest artist in *The Prince of the Pagodas, The Nutcracker, Symphony in C, La Fille mal gardée, Cinderella* and *The Firebird* with The Royal Ballet. Ananiashvili was lucky her career coincided with glasnost, that tremendous thaw in Russia's icy grip over the lives of its citizens that eventually led to the downfall of the Soviet bloc. This enabled her to dance with western ballet companies, most notably New York City Ballet, the Royal Danish Ballet, and American Ballet Theatre, where she would become an audience favourite and a great star. For her, this was a voyage of discovery. An inquisitive artist, she was ever searching for new experiences and different styles of choreography, whilst maintaining the glorious beauty of her Russian training. (How I envy those who saw her in Bournonville's *La Sylphide* and *Napoli*, Petipa's *The Sleeping Beauty* and *La Bayadere*, and MacMillan's *Manon* and *Romeo and Juliet*.) Since 2004, Ananiashvili


CELEBRATING NINA



ვალს-მასკარადი
WALTZ MASQUERADE

სითბო. სიამოვნება იყო მის გვერდით გამომსვლელი სხვა მოცეკვავეების ცქერაც, თუმცა სწორედ ანანიაშვილი გამოვარჩიე და სწორედ მაშინ დავიწყე მისი გაღმერთება. 19 წლის ვიყავი და ჩემს თავს ვუთხარი: „ამ სახელსა და გვარს, იმის მიუხედავად რომ ძნელი წარმოსათქმელია, დავიმახსოვრებ, რადგან ის ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი მოცეკვავე იქნება!“ სწორედ ასე მოვიქეცი და სწორედ ასეთი მოცეკვავე გახდა ისიც. იმავე ზაფხულს ანანიაშვილი „შოპენიანაში“ ვიხილე, მოგვიანებით კი, ლონდონის კოლიზეუმში, დიდი თეატრის გამოსვლისას, „ჟიზელში“, „გედების ტბაში“, „რაიმონდასა“ და „დონ კიხოტში“. მე უკვე მისი თაყვანისმცემელი გავხდი. მეგობარმა ნინოს ავტოგრაფიანი ფოტო მაჩუქა, რომელზეც ანანიაშვილი მის პედაგოგთან, რაისა სტრუჩკოვასთან ერთადაა გამოსახული რეპეტიციაზე. შევიძინე მისი გამოსვლის ჩანაწერები და ვესწრებოდი მის რაც შეიძლება მეტ გამოსვლას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის სამეფო ბალეტის მიწვეული არტისტის სტატუსში ისეთ ბალეტებში გამოვიდა, როგორიცაა „პაგოდების პრინცი“, „მაკნატუნა“, „Symphony in C”, „ამაო სიფრთხილე“, „კონკია“ და „ფასკუნჯი“. ანანიაშვილს გაუმართლა, რომ მისი კარიერა საბჭოთა „გლასნოსტის“ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რუსეთის მიერ მოქალაქეებზე კონტროლი მნიშვნელოვნად შესუსტდა და ამან მას დასავლურ დასებში გამოსვლის საშუალება მისცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიუ იორკ სითი ბალე, დანიის სამეფო ბალეტი და ამერიკის ბალეტის თეატრი, სადაც ის მაყურებლის ფავორიტი და დიდი ვარსკვლავი გახდა. მისთვის ეს აღმოჩენებით სავსე მოგზაურობა იყო.

როგორც არტისტი, ის ყოველთვის ახალ შთაბეჭდილებებს და ქორეოგრაფიულ სტილს ეძებდა და ამასთან რუსული საბალეტო სკოლის დიადი მშვენიერების შენარჩუნებას ახერხებდა (როგორ მშურს მათი, ვინც ის ბურნონვილის „სილფიდასა“ და „ნეაპოლში“, პეტიპას „მძინარე მზეთუნახავსა“ და „ბაიადერაში“, მაკმილანის „მანონსა“ და „რომეო და ჯულიეტაში“ იხილა). 2004 წლიდან ანანიაშვილი საქართველოს დედაქალაქ თბილისში სახელმწიფო საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია. მან დასის სტანდარტების აწევა და რეპერტუარის გაძლიერება მოახერხა მასში ეშტონის, ბალანჩინის, ბურნონვილის, კილიანის და რატმანსკის ბალეტების შემოტანით და ამასთან მე-19 საუკუნის და საბჭოთა საბალეტო კლასიკის შენარჩუნებით. თბილისში 2009 წელს ვიყავი მიწვეული და ბურნონვილის დიდი ხნის დაკარგული ბალეტის – „ციმბირიდან მოსკოვამდე“ აღდგენას დავესწარი, რომელიც დასში ანანიაშვილის ახლო მეგობრებმა – ფრენკ ანდერსენმა და დინა ბიორნმა დადგეს და მაშინ ანანიაშვილის, როგორც ხელმძღვანელის, მუშაობა თვალნათლივ ვიხილე: ის მონაწილეობდა დასის კლასებში; მათი სამაგალითო წარმომადგენელი იყო მედიის წინაშე და ხშირად სატელევიზიო კამერების მთელი ჯგუფები დასდევდა; იყო მომხიბვლელი მასპინძელი უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან, თუმცა ალბათ უამრავი სხვა საზრუნავი ჰქონდა პრემიერის წინ. ყველაზე მეტად მას ცხოვრებაში ისეთივე შარმი და პიროვნული სითბო გააჩნია, როგორიც სცენაზე. ტრავმამ მაშინ ხელი შეუშალა სპექტაკლში რომ ეცეკვა. მაგრამ როდესაც წელს მისი სასცენო შემოქმედების 30 წლის იუბილეზე მიწვევა მივიღე, დაუფიქრებლად დავთანხმდი – როგორ შემეძლო, ასე გაღმერთებული ბალერინას ისტორიული საღამო გამომეტოვებინა? საზეიმო ღონისძიებებმა ნინოსთან დაკავშირებული ყველა თემა მოიცვა. მისი სასცენო კოსტიუმების დრამატულად განათებული გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 14 მარტს; მშვენივრად ილუსტრირებული წიგნის „ნინო ანანიაშვილი“ გამოცემა, რომელიც მთელ მის კარიერას მოიცავს „თბილისი მარიოტში“ 17 მარტს; იყო ორი საზეიმო წარმოდგენაც – პირველი მომხიბლავ, როკოკოს სტილის რუსთაველის თეატრში 16

has been director of the State Ballet in the Georgian capital, Tbilisi, where she has improved the company's standards and strengthened its repertoire by introducing works by Ashton, Balanchine, Bournonville, Kylian and Ratmansky, as well as maintaining the 19th-century and Soviet classics. I was invited to Tbilisi in 2009 to see a revival of a long-lost Bournonville ballet, *From Siberia to Moscow*, staged for the company by Ananiashvili's great friends Frank Andersen and Dinna Bjoern (see Dancingtimes, January 2010), and I saw there at first hand Ananiashvili at work as director: participating in company class; acting as an exemplary ambassador for the company to the media, where she was often followed by a phalanx of television cameras; being a charming hostess to her guests from abroad, even though she must have had a thousand other things to worry about before the premiere of the ballet. Above all, she had the charm and warmth of personality in real life that was so readily apparent on stage. Injury prevented Ananiashvili from dancing during that visit, but when I was invited to witness the celebrations of her 30 years on stage earlier this year, I accepted without hesitation – how could I miss such an historic event for a ballerina I so admired? The celebrations turned out to be a mini-festival of all things Nina. An exhibition of her stage costumes, dramatically lit, opened at the National Library of Parliament of Georgia on March 14; the launch of a beautifully illustrated limited edition book, Nina Ananiashvili, covering her entire career to date, took place at the Tbilisi Marriott Hotel on March 17; and there were two special celebratory performances, the first at the gorgeous rococo-style Rustaveli Theatre on March 16, and a gala concert with international ballet stars at the Tbilisi Concert Hall on March 18. It is typical of Ananiashvili's adventurous spirit that the performance on March 16 included the world premiere of a new ballet, *Tampopo*, created for the occasion by Teet Kask. This bizarrely dressed work showed the ballerina dancing with Vasil Akhmeteli and Otar Khelashvili amidst musicians Tea Tchkuaseli, Lela Mtchedlidze and Giorgi Jorjadze. During a duet, Akhmeteli draped Ananiashvili's limbs around his body before spinning her on the floor. At the end she stepped into a box and started to giggle, opening her arms out wide in amusement to the audience. The evening opened with Yuri Possokhov's *Sagalobeli*, an ensemble work that showcased the State Ballet of Georgia's beautiful female dancers, especially principal Lali Kandelaki, and closed with Ananiashvili and Akhmeteli in an authentically staged production of Ashton's *Marguerite and Armand*. Marguerite is the kind of role in which a mature ballerina can excel, and here Ananiashvili looked ravishing, her dancing undimmed, her character coquettish and carefree until tragedy overtakes her. She made the role her own, and was especially touching in Marguerite's now-famous teetering exit on pointe following Armand's devastating insult. The gala in the Tbilisi Concert Hall gave the opportunity for Ananiashvili's many friends and colleagues to celebrate her anniversary in style. Travelling from Spain, the US, Russia, China and the UK, the dancers included Angel Corella and Momoko Hirata in a sprightly account of Balanchine's *Tchaikovsky Pas de Deux*, Maia Makhateli dancing with her brother, David, in the balcony duet from Lavrovsky's *Romeo and Juliet*, Elena Glurdjidze and Sergei Polunin in an extract from *Raymonda*, top Bolshoi stars Evgenia Obraztsova, Dmitri Gudanov, Anastasia Stashkevich and Viacheslav Lopatin, and Anastasia and Denis Matvienko in Gsovsky's *Grand Pas Classique*. Ananiashvili herself appeared in several items: a duet with Akhmeteli from Possokhov's *Reflections*, an amusing *Waltz* by Alexei Ratmansky partnered by Akhmeteli, Jose Manuel Carreno, Corella, and Matvienko; and her stunning Lekuri solo, where she whizzed about the stage impersonating a male Caucasian dancer. The audience went wild during the coda for the *pas de trois* from *Le Corsaire*, clapping along to Ananiashvili's fantastic fouettes so noisily that at its conclusion she grinned broadly, tapped her ears and shook her head, indicating she hadn't been able to hear the music. Finally, amidst cheers and acclaim, Ananiashvili was presented with roses from all the dancers and also from some of her former illustrious partners, including Alexei Fadeyechev, Sergei Filin, Andris Liepa, Vadim Pisarev and Yuri Possokhov, all of whom had journeyed to Tbilisi to be present. It was a great way to bring the celebration to a conclusion. Was it worth the delayed flight from Heathrow, the missed connection to Tbilisi, and the unexpected overnight stay in Istanbul? Absolutely! Nina Ananiashvili is a rare, brilliant and wonderful artist, and one who lays claim to people's affections, both on and off stage. I salute her achievements, and wish her many, many more years of dancing.

მარტს და გალა-კონცერტი ბალეტის საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით თბილისის საკონცერტო დარბაზში 18 მარტს. ანანიაშვილის თავგადასავლების მოყვარული ხასიათის შესაბამისად, 16 მარტის საღამო, ახალი ბალეტის — „Tampopo“ პრემიერით იყო საინტერეო, რომელიც ტეტ კასკმა ამ იუბილისთვის დადგა. ამ უცნაურად შემოსილ ბალეტში ბალერინა, ვასილ ახმეტელთან და ოთარ ხელაშვილთან ერთად, ცეკვავდა მუსიკოსებს — თეა ჭკუასელს, ლელა მჭედლიძესა და გიორგი ჯორჯაძეს — შორის. დუეტისას ახმეტელი ანანიაშვილის კიდურებს სხეულზე იხვევდა, სანამ მას სცენაზე დაატრიალებდა. დასასრულს ბალერინა ყუთში დადგა, იკისკისა და მკლავები გაშალა. საღამო იური პოსოხოვის „საგალობლით“ გაიხსნა, რომელიც ანსამბლური ნაშრომია და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მშვენიერი ბალერინები აჩვენა, რომელთაგან პირველ რიგში პრიმა ლალი კანდელაკი უნდა აღინიშნოს, დასრულებით კი ანანიაშვილის და ახმეტელის მიერ ეშტონის „მარგარიტა და არმანში“ გამოსვლით დასრულდა. მარგარიტას როლი  დიდი გამოცდილების ბალერინას გაბრწყინების საშუალებას აძლევს და ანანიაშვილი ამ პარტიაში აღმაფრთოვანებელი იყო — მისი ცეკვა ჩაუმქრალი, ხასიათი კი კეკლუცი და უდარდელი, სანამ მას ტრაგედია ფარავს. მან როლი სრულად მოირგო და განსაკუთრებულად ემოციური მარგარიტას მიერ სცენის პა დე ბურეებით დატოვებისას იყო, რაც არმანის მიერ მისი შეურაცხყოფის შემდეგ ხდება. თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართულმა გალამ ანანიაშვილის მეგობარებსა და კოლეგებს მნიშვნელოვანი თარიღის ეფექტურად აღნიშვნის საშუალება მისცა. მოცეკვავეები ჩამოსულნი იყვნენ ესპანეთიდან, შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან და ბრიტანეთიდან. ანხელ კორელა და მომოკო ჰირატა ბალანჩინის „ჩაიკოვსკი პა დე დეს“ ცოცხალ შესრულებით წარდგნენ; მაია მახათელი ძმასთან, დავითთან ერთად, ლავროვსკის „რომეო და ჯულიეტას“ ადაჟიოში გამოვიდა; ელენე გლურჯიძემ და სერგეი პოლუნინმა „რაიმონდას“ ფრაგმენტი იცეკვეს; ცალკეული ნომრები შეასრულეს მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანმა ვარსკვლავებმა ევგენია ობრაზცოვამ, დიმიტრი გუდანოვმა, ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ პოლუნინმა, ასევე ანასტასია და დენის მატვიენკოებმა, რომლებმაც გზოვსკის „კლასიკური გრან პა“ აჩვენეს. თავად ანანიაშვილი რამდენიმე ნომერში გამოჩნდა: ახმეტელთან ერთად მან პოსოხოვის „ანარეკლიდან“ადაჟიო შეასრულა; ახმეტელთან, ხოსე მანუელ კარენიოსთან, კორელასთან და მატვიენკოსთან ერთად — ალექსეი რატმანსკის მომხიბლავი „ვალსი“; და მისი მომაჯადოვებელი სოლო „ლეკური“, რომელშიც ის სცენაზე კავკასიელი მამაკაცის ცეკვით დაქროდა. „კორსარის“ პა დე ტრუას კოდას დროს მაყურებელი სიგიჟის ზღვარზე იყო და ანანიაშვილის ფანტასტიურ ფუეტეებს ისეთ ტაშს აყოლებდა, რომ დასრულების შემდეგ ბალერინამ ფართოდ გაიღიმა, ყურზე ხელი მიიდო და თავი გააქნია, რითაც დარბაზს ანიშნა, რომ მუსიკაც კი არ ესმოდა. და ბოლოს, ოვაციების ფონზე, ანანიაშვილს ყველა მოცეკვავემ და ისეთმა ყოფილმა ვარსკვლავებმა და მისმა პარტნიორებმა — ალექსეი ფადეეჩევმა, სერგეი ფილინმა, ანდრის ლიეპამ, ვადიმ პისარევმა და იური პოსოხოვმა, ვარდი მიართვეს. ეს მშვენიერი  გზა იყო ზეიმის დასასრულებლად. ღირდა თუ არა ლონდონის ჰითროუს აეროპორტიდან დაგვიანებული ფრენა, თბილისთან დამაკავშირებელი რეისის გამოტოვება და მოულოდნელი დარჩენა ერთი ღამით სტამბოლში? აბსოლუტურად! ნინო ანანიაშვილი იშვიათი, ბრწყინვალე და საოცარი არტისტია, რომელიც ხალხის სიყვარულს იპყრობს სცენაზე და მის გარეთ. ქედს ვიხრი მისი მიღწევების წინაშე და ცეკვის კიდევ ბევრ, ბევრ წელიწადს ვუსურვებ.

ლეკური
LEKURI



## ვიქტორია ჯაიანი
**ჯოფრი ბალეტი**

„შესანიშნავ საღამოში მივიღეთ მონაწილეობა და ძალიან გვიხარია საქართველოში დაბრუნება. მშვენიერი იყო საღამო, სპექტაკლი, თავად ნინო, რომელიც შესანიშნავად გამოიყურება, ისევე, როგორც დასი მისი ახალგაზრდა და ნიჭიერი მოცეკვავეებით. მეტად გვიხარია გალაში მონაწილეობის მიღება. აქ ყოფნა ჩვენთვის ემოციებთანაა დაკავშირებული“.



თემურ სულუაშვილი, ვიქტორია ჯაიანი, ხოსე მანუელ კარენიო
TEMUR SULUASHVILI, VICTORIA JAIANI, JOSE MANUEL CARREÑO




## VICTORIA DJAIANI
**Joffrey Ballet**

“This was an excellent evening we participated in, and we are really happy to be back to homeland. The evening, the show, Nina – who is in wonderful shape – all this was beautiful, as well as the Company with its young and talented dancers. We are very happy to have taken part in this and it is really emotional to be here.”

## კევინ მაკკენზი
**ამერიკის ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**

„ნინო ისაა, ვისითაც საქართველო ძალიან, ძალიან უნდა ამაყობდეს. ვფიქრობ, ის წარმოადგენს ხიდს დიდი თეატრის ძველ ტრადიციებსა და იმ წლებს შორის, როდესაც ის ამერიკაში ჩამოვიდა და საკუთარ თავში იმაზე მეტი აღმოაჩინა, ვიდრე ტიპური ბალერინას იმიჯია. ბოლოს თქვენთან დაახლოებით ხუთი წლის წინ ვიყავი და უკვე ვატყობ სხვაობას. აქ პატარა ნაციონალური სიმდიდრე გაქვთ, რომელიც ნამდვილ სამკაულად იქცევა“.

## KEVIN MCKENZIE
**Artistic Director of the American Ballet Theatre**

“Nina is something Georgia needs to be very, very proud of. I think she represents a bridge between the old tradition of the Bolshoi Theatre and the years she came to America when she discovered something about herself that was bigger than the typical ballerina’s image. I was here about five years ago and I see difference already. You have a wonderful little national treasure here that is going to grow into a jewel.”



## დენის მატვიენკო

**მარიას თეატრის სოლისტი, კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი**

„ყველა აქ ჩამოსული – ყოფილი და ახლანდელი მოცეკვავე და ბალეტის ხელმძღვანელი – ნამდვილი ვარსკვლავია. ისინი ნინოს გამო ჩამოვიდნენ, რომელმაც ეს ადამიანები მისი პიროვნებით, გალაქტიკური მასშტაბით გააერთიანა. უამრავი მოცეკვავე, ჩემი ჩათვლით, მის შემოქმედებაზე გაიზარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ნინოს პიროვნული მხარეა. ის მზეს ჰგავს, რომელიც ყველას ათბობს და ორბიტაზე პლანეტებს იზიდავს. ყველა აქ ჩამოსულმა მიატოვა საკუთარი თეატრი და ქალაქი, რათა ეს საღამოები ღიმილით და მოგონებებით გაეტარებინა. მსურს, ყველას მოგილოცოთ, რომ ნინო – ასეთი ზეციური ტალანტის მქონე ადამიანი – ქართველია“.


ანასტასია და დენის მატვიენკო
ANASTASIA AND DENIS MATVIENKO

## DENIS MATVIENKO

**Soloist of the Mariinsky Theatre of St. Petersburg, Artistic Director of the Kiev Opera and Ballet Theatre Ballet Company**

“All the people who have come here – former and current dancers and directors – are true stars. They came here because of Nina, who tied them all together by her personality, her galactic scale. So many dancers – including me – learned on her art, which is amazing. And the most important thing is her human personality. She is like sun that warms everybody and has these orbiting planets like us around her. Everybody left their theatres and cities to be here and laugh and recall memories all evening. I would like to congratulate you on the fact that Nina – person of such divine talent – is Georgian.”



## ვადიმ პისარევი

**უკრაინის სახალხო არტისტი**

„თუკი ჩვენ, მის ყოფილ პარტნიორებს, შეგვხედავთ, დაინახავთ, რომ ყველამ დავკარგეთ საცეკვაო ფორმა, ის კი კვლავ მშვენიერ ფორმაშია. საუკუნის ბალერინაა, ლეგენდა. მსურს, ვუსურვო ჯანმრთელობა, პროდუქტიულობა და წარმატება ნიჭიერი მოცეკვავეების აღზრდაში. უკვე ნათელია, რომ მან დასის და საბალეტო სკოლის პროგრესის გზაზე დაყენება შეძლო, რაც მის წარმატებულ ხელმძღვანელობაზე საუბრობს. ჩვენ, მისი მეგობრები, მას მხარს ვუჭერთ. ბედნიერი ვარ აქ ყოფნით.“

## VADIM PISAREV

**People’s Artist of Ukraine**

“If you look at us, her former partners now, we’re all a bit out of form, while she is in great shape. She is ballerina of the century, a legend. I would like to wish her health, productivity, and success in her work of bringing talented dancers up. It is already visible that she has managed to improve the Company and ballet school, the fact which testifies that she is a good director as well. We, her friends, will be supporting her. I am really happy to be here today.”



## იური პოსოხოვი
**ქორეოგრაფი, სან-ფრანცისკო ბალეტი**

„არ მიყვარს დიდ თემებზე საუბარი – არადა ეს საჭიროა ისეთ დიდ ბალერინაზე საუბრისას, როგორიც ნინო ანანიაშვილია. ამიტომ, უფრო პირად გამოცდილებაზე ვისაუბრებ. ვგრძნობ, რომ მისი ტალანტი და წარმატება ბუნების მიერ წინასწარაა განსაზღვრული და მათ მთელი ცხოვრება თან ატარებს. ამის კეთება არაა ადვილი, რადგან დიდ შრომას მოითხოვს, თუმცა ის ამას ახერხებს და ეს ბევრს ამბობს მის მასშტაბზე მსოფლიო ბალეტში“.

## YURI POSSOKHOV
**Choreographer, San Francisco Ballet**

“I don’t like talking about grand themes – and you must talk about them when you’re speaking about a ballerina of such great scale as Nina Ananiashvili – so I will talk about more personal, intimate ballet experience with Nina. I feel she has talent and success that is already defined by nature and is going through her life with this talent. It is not easy to do this, as it demands a lot of work, but she manages it, and this says a lot about her great scale in international ballet.”

## დავით საყვარელიძე
**თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველი**

„ესაა ისტორიული მნიშვნელობის კვირეული არა მხოლოდ ჩვენი თეატრისთვის და ქალაქისთვის, არამედ მსოფლიო მნიშვნელობით. მთელი საბალეტო მსოფლიოს ყურადღება დღეს თბილისისკენაა მომართული და ამას ნამდვილად ვგრძნობთ, რადგან საბალეტო ხელოვნების ეპიცენტრში ვართ, რაც ნინო ანანიაშვილის დამსახურებაა“.

## DAVID SAKVARELIDZE
**Manager of the Tbilisi Opera and Ballet Theatre**

“This is a week of historic meaning not only for our Theatre and city, but internationally. Attention of the entire ballet world is diverted to Tbilisi today – and we do feel being in the epicenter of ballet art, thanks to Nina Ananiashvili.”





ელენა გლურჯიძე,
სერგეი პოლუნინი
ELENA GLURDJIDZE,
SERGEI POLUNIN

## სერგეი პოლუნინი
**ინგლისი**

„ნინოს აქ ჩამოსვლამდე არ შევხვედროდი. ის მეტად მნიშვნელოვანი და გავლენიანი პერსონაა საბალეტო სამყაროში და მის გალაში მონაწილეობის მისაღებად აქ ყოფნა დიდი პატივია. დასის მაღალი სტანდარტით სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. თქვენ რამდენიმე უცხოელი მოცეკვავეც გყავთ, რაც ამ დასს საერთაშორისო ელფერს აძლევს“.

## SERGEI POLUNIN
**England**

“I had never met Nina before coming here. She is such an important and influential person in the ballet world and it is a great privilege to be here and participate in her gala. I was very pleasantly surprised by the standard of the Company – and there are quite a few foreign dancers, making it an international company.”

# ნინო ანანიაშვილი – 30 წელი სცენაზე

გალა კონცერტი, თბილისი 14-18 მარტი 2012

# Nina Ananiashvili – 30 years on stage

Gala – Tbilisi, Georgia, Tbilisi, Rustaveli Theatre

მარგარეტ უილსი
Margaret Willis

Dance Tabs
5 აპრილი 2012
April 5 2012


DanceTabs

Nina Ananiashvili – 30 years on stage gala – Tbilisi

By Margaret Willis on April 5, 2012

Nina Ananiashvili in Khorumi male dance. © Lado Vachnadze.

The Celebrations for Nina Ananiashvili's 30 Years on Stage

Celebrations & Gala: Nina Ananiashvili – 30 years on stage
State Ballet of Georgia and guests
Georgia, Tbilisi, Rustaveli Theatre
14-18 March 2012
www.opera.ge

Once upon a time, in a far-away city surrounded by mountains, a little girl dreamed of becoming a champion ice-skater. Fortunately for us, her fairy Godmother had other plans and, while preparing choreography for the ice-rink, her balletic skills were spotted and she was recommended to try for a place at the famed Bolshoi Ballet School. She was accepted and, aged ten, she set of on the long journey from her home in Tbilisi, Georgia for her new dancing experience accompanied by her beloved babushka who would care for and chaperone the young innocent girl.

And the rest, as they say, is history and that 'little girl' who became an international ballerina, has just celebrated an unprecedented 30 years of her life on stage – and is still dancing.

იბეჭდება შემოკლებით
PRINTED IN SHORT

იყო და არა იყო რა. ერთ შორ, მთებით გარშემორტყმულ ქალაქში ცხოვრობდა ერთი გოგონა, რომელიც ციგურებით სრიალში ჩემპიონობაზე ოცნებობდა. ჩვენდა საბედნიეროდ, მის ფერია ბებიას სხვა გეგმები ჰქონდა. ყინულზე ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ნომრის მომზადებისას გოგონას საბალეტო ტალანტიც შეამჩნიეს და მოსკოვის დიდი თეატრის საბალეტო სკოლაში შესვლა ურჩიეს, სადაც მიიღეს კიდეც და 10 წლის ასაკში, თბილისიდან გრძელი მოგზაურობა დაიწყო. ამ გზაზე მას საყვარელი ბებიაც ახლდა, რომელიც ნორჩ გოგონაზე ზრუნავდა.

დანარჩენი, როგორც იტყვიან, უკვე ისტორიის ნაწილია. ამ „პატარა გოგონას“ კი, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის ბალერინა გახდა, ახლახანს საზეიმოდ შეუსრულდა სასცენო მოღვაწეობის უპრეცედენტო 30 წელი და კვლავაც აგრძელებს ცეკვას.

ნინოს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა ზეიმმა, რომელიც საკუთარ დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე გაიმართა, მასთან დაკავშირებული არა ერთი ბედნიერი მოგონება გააღვიძა და ის გამოსვლები გაგვახსენა. როდესაც ნინო მის არაერთ მომხიბლავ პარტნიორთან ერთად გამოდიოდა სცენაზე.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კვლავ

Once upon a time, in a far-away city surrounded by mountains, a little girl dreamed of becoming a champion ice-skater. Fortunately for us, her fairy Godmother had other plans and, while preparing choreography for the ice-rink, her balletic skills were spotted and she was recommended to try for a place at the famed Bolshoi Ballet School. She was accepted and, aged ten, she set of on the long journey from her home in Tbilisi, Georgia for her new dancing experience accompanied by her beloved babushka who would care for and chaperone the young innocent girl. And the rest, as they say, is history and that 'little girl' who became an international ballerina, has just celebrated an unprecedented 30 years of her life on stage – and is still dancing.

This celebration of Nina's 30 years of performing on stage, held on the eve of her 49th birthday, brought back so many happy remembrances of her, transporting us back to past performances with her many young handsome partners.

Since the Paliashvili State Opera and Ballet Theatre is still being repaired – hopefully it will re-open in two years – the first evening saw a triple bill by The State Ballet of Georgia at the Rustaveli Theatre. The opening ballet was Sagalobeli created by Yuri Possokhov (Bolshoi now San Francisco Ballet) to Georgian folk music and played on fascinating old instruments. The piece is not intended to be a pastiche of the exciting Georgian national dance as seen through the eyes of a Russian choreographer, but to bring the essence of the pride and beauty of that style in a classical form. The women's arms are fluid and soft, they bouree on pointe rather than 'roller-skate' with quicksilver tiny runs on high demi-point, while the men show their bravura in spinning turns and high leaps – but not by dancing on the knuckles of their feet as in true Georgian dancing.

Next came a world premiere, *Tampopo*, created by Estonian Teet Kask with music by Arvo Paert for two men and one woman and three musicians who also play an active part in the piece. It is a madcap, Gothic, tongue-in-cheek piece. The piece culminates with Nina coming downstage, doing a St Vitas dance, and laughing out loud until the lights go out, leaving a bemused audience.

The final ballet was far more comprehensible being Ashton's *Marguerite and Armand* and performed by Nina and her Georgian partner, Vasil






Nina Ananiashvili and Denis Matvienko in Le Corsaire. © Lado Vachnadze.

The winner of a multitude of international competitions, she has not been afraid to take risks and try different styles – she and Andris Liepa were the first Soviet dancers to be invited to New York City Ballet during the Cold War era, where both young things eagerly absorbed the finesse of Balanchine. She studied and danced with Royal Danish Ballet.

სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც, როგორც იმედოვნებენ, ორ წელიწადში დასრულდება. ამიტომ, პირველი საღამოს პროგრამა საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა რუსთაველის თეატრში წარმოადგინა. პროგრამა „საგალობელით“ გაიხსნა, იური პოსოხოვის (დიდი თეატრიდან, ახლა სან-ფრანცისკოს ბალეტი) ბალეტით ქართულ ფოლკლორულ მელოდიებზე, რომელიც გამაოცებელ ძველ ქართულ ინსტრუმენტებზე სრულდება. ბალეტი გამიზნულია, როგორც არა ცოცხალი ხასიათის ქართულ ნაციონალურ ცეკვის თემაზე რუსი ქორეოგრაფის თვალით დანახული დადგმა, არამედ ამ სტილის კლასიკურ ფორმაში გადმოცემა. ბალერინების მკლავები მოქნილი და მსუბუქია, ისინი პუანტებზე ბურეებით მოძრაობენ. მამაკაცები გმირულ ხასიათს ბრუნვებსა და მაღალ ნახტომებში აჩვენებენ — მაგრამ არ ცეკვავენ მუხლებზე, როგორც ნამდვილ ქართულ ცეკვაშია.

შემდეგ  მსოფლიო პრემიერა შედგა. „Tampopo“, ეს არის ესტონელი ტეტ კასკის მიერ არვო პიარტის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი  ორი მამაკაცისა და ერთი ბალერინასთვის, სამ მუსიკოსთან ერთად, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ სპექტაკლში. ეს თავისებური, გოთიკური, ნახევრად იუმორისტული ნაშრომია. ბალეტის კულმინაციურ მომენტში ნინო სცენის წინ  გამოდის, სენ ვიტას ცეკვას ასრულებს და შუქის ჩაქრობამდე ხმამაღლა იცინის, რითაც მაყურებელს გაოგნებულს ტოვებს.

პროგრამის ბოლო ბალეტი გაცილებით უფრო ადვილად აღსაქმელი იყო — ეშტონის „მარგარიტა და არმანი“ ნინომ მის ქართველ პარტნიორთან, ვასილ ახმეტელთან ერთად, შეასრულა. ეს ბალეტი ნინოს, როგორც მოცეკვავის სიმწიფეს (არაბესკების დახვეწილ ტექნიკას, რომლის დროსაც ისინი ზემოთ კი არ აიტყორცნება, არამედ გემოვნებით, თანდათანობით იხსნება) და სამსახიობო ოსტატობის ღრმა აღქმას იდეალურად აჩვენებს.

მეორე დღეს ნინოზე ახალი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული მიღება გაიმართა, რასაც პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი ბრწყინვალე კოსტიუმების გემოვნებით წარმოდგენილი გამოფენა მოჰყვა.

ბოლოს კი იყო გალა — ნინოს შთამბეჭდავი იუბილეს აღსანიშნად შეკრებილი ტალანტების და მეგობრების მონაწილეობით. იუბილეს ეწრებოდნენ საერთაშორისო მასშტაბის მოცეკვავეები, ყოფილი პარტნიორები, ქორეოგრაფები და მეგობრები, ისევე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და კაბინეტის რამდენიმე წევრი (რომ არ ვახსენოთ მათი უსაფრთხოების სამსახურის მთელი ჯგუფი). აქვე იყო თითქმის მთელი ქართული მედიაც — საკონცერტო დარბაზში კამერების რიგები იდგა, ჩამოსული სტუმრების სახეებთან კი ჩნდებოდა მიკროფონები და კითხვები: რატომ ჩამოხვედით? რატომ მეგობრობთ ნინო ანანიაშვილთან?

გალა მენდელსონის პირველ სიმფონიაზე დადგმული იური პოსოხოვის „ანარეკლის“ ფრაგმენტით გაიხსნა. თორმეტი ბალერინა და სამი სოლისტი თეთრ, თხელ პაჩკებში ამორძალების მსგავსი ძალით ასრულებდა განმგმირავ ნაბიჯებს და მფრინავ ნახტომებს სარკეების  წინ, რომელიც მოცეკვავეების რაოდენობას თითქოს აორმაგებდა. მონაწილეებს კიდევ თორმეტი შეუერთდა, წითელ პაჩკებში და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სცენა ფსევდო საჭადრაკო თამაშის ადგილი იყო, სადაც მოცეკვავეები სწრაფი, სცენის გადამკვეთი მოძრაობით სივრცისთვის იბრძოდნენ. „ანარეკლის“ მეორე ნაწილში ნინო თეთრ პაჩკაში ცეკვავდა, გაშლილი, მოკლე შავი თმით, ვასილ ახმეტელი კი 1920-იანი წლების კოსტიუმში. ანანიაშვილი სამი სარკის წინ პოზირებდა, სანამ მოქნილ ზურგს მოხრიდა, გრძელ, გრაციოზულ კიდურებს გაშლიდა და ისინი ერთად უფრო ნაზ სტილში იცეკვებდნენ.

ამას მოკლე ფილმი მოჰყვა, რომელიც ნინოზე ათეულობით ჩანაწერისგან იყო შედგენილი და რომელიც ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა ლევან უჩანეიშვილმა წარადგინა.

მოწვეულ არტისტთაგან პირველები გამოვიდნენ დიდი თეატრის სოლისტი დიმიტრი გუდანოვი და დასის ახალი პრიმა ევგენია ობრაზცოვა, რომლებმაც „მძინარე მზეთუნახავის“ ფილიგრანული და დახვეწილი, მბრწყინავი თეთრი კოსტიუმებით და  პარიკებით გრან პა იცეკვეს.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი მოცეკვავეებიდან პირველები დავით



Akmeteli. It is the perfect vehicle to see Nina's maturity as a dancer – fastidious technique with arabesques that don't shoot skywards but are tastefully unfurled gradually – and her deep understanding of the acting.

The following day there was a reception for the release of a new book on Nina and later the opening of an exhibition of her glorious costumes, tastefully presented at the National Library of Parliament.

And penultimately there was the gala – a gathering of talents and friendships that came together to celebrate Nina's remarkable anniversary. Internationally famous dancers, ex partners, choreographers and friends from around the world with also the presence of the President of Georgia, Mikhail Sakhashvili and several Cabinet members, (to say nothing of the mass of armed body-guards), were in the audience. And it seemed that all of the Georgian press was there – banks of cameras stood in the concert hall with microphones being popped under foreign noses asking such questions: Why are you here? Why do you like Nina Ananiashvili?

The opening number, performed by Nina's own company was an extract from the world premier of Reflections to Mendlessohn's Symphony No. One by Yuri Possokhov. Standing in front of panels of mirrors which gave the illusion of double the quantity of dancers, twelve women and three soloists in white pancake thin tutus performed stabbing syncopated steps and flying leaps with Amazonian force. They were joined by twelve more women, this time in red tutus and it seemed as though the stage was now the setting for a pseudo chess game where the players vied for space as they sped and criss-crossed the stage. The second movement saw Nina in white tutu, her short black hair loose, and Vasil Akhmeteli in a 1920's bathing suit, posing in front of three mirrors before bending that supple back and unfolding her long graceful limbs to dance together in more gentle mode.

There followed a short film with dozens of nostalgic mini-clips of Nina introduced by the famous Georgian film director, Levan Uchaneishvili.

The first guests to perform came from the Bolshoi – Dmitri Gudanov and that company's newest principal, Evgenia Obraztsova – who performed a filigree and dainty Grand Pas from The Sleeping Beauty, gorgeously adorned with sparkling white costumes and powdered wigs.



მახათელი (სამეფო ბალეტი) და მისი და მაია მახათელი (ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტი) გამოვიდნენ ლავროვსკისეულ აივნის პა დე დეში „რომეო და ჯულიეტადან“. ორივე მომხიბლავად ტალღოვანი იყო — მაია პეპელასავით მსუბუქი, ურბილესი ბურეებით  ცეკვავდა. მათ  კარგად შეძლეს პარტნიორობა გაეწიათ ერთმანეთისთვის და და-ძმის ცეკვაში ვნების გამოხატვის სირთულის გადალახვა მოახერხეს.

ლიაონინგის საბალეტო დასის ჩინელმა მოცეკვავეებმა დონ თინგ ხინგმა და რენ ზონგმა „სილფიდას“ დუეტი წარმოადგინეს. ფაიფურის პატარა თოჯინების განსახიერება მათ ბურნონვილის სტილისთვის დამახასიათებელი ნახტომით და სინატიფით მოახერხეს, რომლის დროსაც მამაკაცი კარგ, მკვეთრ ნახტომებსა და ბრუნებს აჩვენებდა. ბალერინა კი, რომელიც ბამბასავით მსუბუქი იყო, აღმაფრთოვანებლად დაფრინავდა, თუმცა მისი როლისთვის საჭირო ორსახოვნების გადმოცემა გაუჭირდა.

გადმოცემის არავითარი პრობლემა არა აქვს ანხელ კორელას, ნინოს ერთ-ერთ პარტნიორს ამერიკის ბალეტის თეატრში. ის სცენაზე საოცარი ღიმილით, გართობის შეგრძნებით შემოვარდება და ცეკვის დაწყებამდე იპყრობს ქალთა გულებს. მომოკო ჰირატასთან (ბირმინჰემის სამეფო ბალეტის ყოფილი მოცეკვავე, რომელიც ახლა ბარსელონაში კორელა ბალეტის დასში ცეკვავს) ერთად მან „ჩაიკოვსკი პა დე დე“ მშვენიერი სტილით და ფეხის ძლიერი, ნათელი მოძრაობებით იცეკვა, თუმცა არასდროს მინახავს ის ელვისებური სისწრაფე, რომელიც მის სოლოებში ჩანს და ყოველ ჯერზე იდეალური პოზიციით სრულდება. მას კარგად მიჰყვებოდა პარტნიორი, რომელმაც ძლიერი, თუმცა ამავე დროს დელიკატური მოძრაობა და სიამოვნების ნამდვილი შეგრძნება აჩვენა. ქარიზმატულმა ხოსე მანუელ კარენიომ აიგალ პერის „ავე მარია“ ღრმა გრძნობით, მუსიკალურობით გადმოსცა, პირველი მოქმედების უკანასკნელი ნომერი „კორსარის“ პა დე ტრუა აღმოჩნდა, რომელიც ნინომ, ახმეტელმა და მარიას თეატრის დენის მატვიენკომ იცეკვეს. მატვიენკო სრულად იყო მომართული და  ჟეტეები სცენაზე ისეთი სისწრაფით შეასრულა, რომ ორკესტრის შესრულება ვერ აჰყვა. ალისფერ, მბრწყინავ კოსტიუმში ნინო თვითრწმენის და ბედნიერების მასხივებელი იყო — მაყურებლის ოვაციებში სახიფათოდ სწრაფ ფუეტეებს (სრულ 32-ს) ასრულებდა. რეაქცია განსაკუთრებით ძლიერი ფინალში იყო, როდესაც ნინომ მხრები აიჩეჩა, რითაც თითქოს თქვა — „ხომ ხედავთ, კვლავაც შემიძლია ამის შესრულება!“

იმპროვიზაციის ხასიათზე იყო ის მეორე მოქმედებაშიც, რომელშიც ალექსეი რატმანსკის „ვალსი“ იცეკვა. სავსე, წითელ-შავ სამეჯლისო კოსტიუმში ის ოთხი ელეგანტური, ფრაკში გამოწყობილი და მისი ყურადღებისთვის მებრძოლი მამაკაცის — კარენიო, მატვიენკო, კორელა, ახმეტელი — მცდელობებს უარყოფს და სცენიდან გრან ჟეტეთი გაფრინდება.

თუკი სერგეი პოლუნინს ეძებთ, ის აქ, თბილისში იყო ელენე გლურჯიძესთან ერთად, რომელთანაც ელეგანტური და ყველა დეტალის გათვალისწინებით გადმოცემული პა დე დე შეასრულა „რაიმონდადან“. გლურჯიძე გრაციოზული სტილით და ტექნიკური მშვენიერებით ცეკვავდა, პოლუნინი კი ისეთი სიმსუბუქით  დაქროდა და ბრუნავდა, რომ მისი შემხედვარე გაიფიქრებდით: „მან ცეკვა არასდროს არ უნდა შეწყვიტოს!“ ამერიკის ბალეტის თეატრის წყვილმა მარია რიჩეტომ და ბლეინ ჰოვენმა თუაილა თარპის “Known by Heart”-ის მომხიბლავი გამოსვლა აჩვენეს. ბალეტი შეუჩერებელი, მომთხოვნი ქორეოგრაფიის მაგალითია. ამას დენის და მისი მეუღლის, ანასტასია მატვიენკოების გამოსვლა მოჰყვა გზოვსკის „კლასიკურ გრან პაში“. მათ

Next were the first of several Georgian dancers now working abroad. David Makhateli (The Royal Ballet) and his sister Maia Makhateli (Dutch National Ballet) danced Lavrovsky's balcony pas deux from Romeo and Juliet. Both were beautifully fluid – she as light as a butterfly with the smoothest bourees – both possessing high easy extensions. They danced well together and nobly overcame the challenges of expressing passion when your partner is your sibling!

Two Chinese dancers from Lianoning Ballet – Dong Ting Xing and Ren Zhong – performed a duet from La Sylphide. Resembling little porcelain dolls, they danced with Bournonville bounce and neatness, he showing good, sharp leaps and turns, while she, light as thistledown, floated admirably, though she found it hard to express the mischief needed for her role.

Someone who has no trouble communicating is Angel Corella, one of Nina's partners at ABT. He springs onto the stage with the most wonderful smile and sense of fun and even before he had danced anything, he had won all the women's hearts. He and Momoko Hirata (formerly with Birmingham Royal Ballet, now Corella Ballet in Barcelona) performed Tchaikovsky Pas de deux with great style and strong clear footwork, though I have never seen such lightening speed as in his solos, which always ended with perfect positioning.

She kept pace with him and showed strong yet delicate action with a real sense of enjoyment. The charismatic Jose Manuel Carreno performed Igal Perry's Ave Maria with deep feeling, musicality and control and the last piece in the first half was Le Corsaire pas de trois with Nina, Akhmeteli and Denis Matvienko of the Mariinsky Ballet. Matvienko was in full throttle and took his feline jetes around the stage faster than the orchestra could keep up with him. In her purple sparkling tutu, Nina oozed confidence and happiness, taking her pique turns at the gallop and offering dangerously fast fouettes – all 32 – as the audience roared, especially when she ended with a quizzical shrug as if to say – "See, I can still do them!"

She was still in cheeky mode in the second half when she danced Alexei Ratmansky's Waltz. Here in a luscious red and black ballgown she rejects the attentions of four elegant frock-coated men who vie for her attention – Carreno, Matvienko, Corella and Akhmeteli – leaping off stage in a grand jete as they race after her.

If you were searching for Sergei Polunin, he was here in Tbilisi with Elena Glurdjidze, performing an elegant and meticulous Raymonda pas de deux. She danced with gracious style and technical beauty while he soared and turned with such ease that one thought, 'He just mustn't stop dancing!'



ფანტასტიური ბალანსი და თვითრწმენა აჩვენეს არაერთგზის ნახტომით და ცეცხლოვანი ბრუნვებით, რომლებიც კვლავ ებრძოდა ორკესტრის ნელ შესრულებას. პოსოხოვის კიდევ ერთი ქმნილება, ამჯერად რომანტიკული, მძაფრი და მომთხოვნი "Bells" (რახმანინოვის საფორტეპიანო სონატა 2 op. 36) ამჟამად ჯოფრი ბალეტის ორმა ქართველმა მოცეკვავემ, ვიქტორია ჯაიანმა და თემურ სულუაშვილმა შეასრულეს, ბალერინას მოქნილი ზურგი აქვს, რომელიც ძლიერი და ყურადღებიანი პარტნიორის მოთხოვნებს ლირიკულად ერგება. დიდი თეატრის ახალგაზრდა წყვილმა ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ ლოპატინმა „დიანა და აქტეონის პა დე დე" იცეკვეს, რომელიც მათთვის უკვე საფირმო გალა ნომრად ითვლება. მათ მაღალი, ძლიერი ნახტომები და კარგი ბალანსი ჰქონდათ, თუმცა ხელი შეუშალა მუსიკის ძალიან ნელმა ტემპმა, რომელიც მათ ნაბიჯებს „ითრევდა", თუმცა, ისინი არ დანებდნენ და მთელი გამოსვლის განმავლობაში მანათობელი შესრულება აჩვენეს.

ანხელ კორელა უკანასკნელი იყო უცხოელ მოცეკვავეთაგან, ამჯერად ახალგაზრდა ბრიტანელი ქორეოგრაფისა და მოცეკვავის რასელ დაქერის "Suspended in Time"-ში. კორელასთვის ეს იდეალური ნომერია, რომელშიც მას მთელი თავისი „პიროტექნიკის" და ქარიზმატული ხასიათის ჩვენება შეუძლია, რაც მაყურებლის აღტაცებაში აისახა. რომელი ქართული გალა იქნებოდა სრული, ნაციონალურ ტრადიციებზე და მემკვიდრეობაზე აქცენტის გარეშე? დასმა შეასრულა გია მარღანიას ხორუმი „მთების გულიდან". მათ დიდი სიზუსტით და სიამაყით იცეკვეს. ნინომ კი წინა გალაზე ნაჩვენები ქართული მამაკაცური ცეკვის ნომერი გაიმეორა ფართო ღიმილით, შემდეგ კი უცებ დაბრუნდა სცენაზე მის სტუმრებთან ერთად, მშვენიერ, სადღესასწაულო კაბაში. ნინომ დასის თითოეული წევრისგან, საცეკვაოდ მოწვეული სტუმრისგან, პარტნიორებისა და მეგობრებისგან გრძელი წითელი ვარდი მიიღო. მოგვიანებით კი, წვეულებაზე, მას "Happy Birthday" ვუმღერეთ,  სანამ პატარა ელენე მიკროფონს მარტო აიღებდა და დედას მილოცვას ქართულად უმღერებდა. საოცარ საღამოს ასეთი კითხვით  ვტოვებდით: მომავალ წელს, ნინოს 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად მას კვლავ მოცეკვავედ  ვიხილავთ? იმედია, ასე იქნება!

გალა-კონცერტის მონაწილეები
PARTICIPANTS OF THE GALA CONCERT





იური პოსოხოვი, დენის მატვიენკო და ვიაჩესლავ ლოპატინი საბალეტო დასის მოცეკვავეებთან
YURI POSSOKHOV, DENIS MATVIENKO, VYACHESLAV LOPATIN WITH DANCERS OF THE STATE BALLET OF GEORGIA

A couple from ABT, Maria Riccetto and Blaine Hoven, delightfully performed Twyla Tharp's Known by Heart a quirky, non stop work with demanding choreography, and this was followed by Denis and his wife Anastasia Matvienko in Gsovsky's Grand Pas Classique. They showed fantastic balances and assurance with multiple jumps and furious turns, battling the too-slow tempi again. Yet another Possokhov creation was seen – this time a romantic, intense and demanding work entitled Bells (to Rachmaninoff's Piano Sonata No 2 op.36), performed by two Georgian dancers who now work at Joffrey Ballet – Victoria Jaiani and Temur Suluashvili. She has a 'rubber' body, able to bend and mould lyrically to the demands of her partner, who is strong and attentive.

The young Bolshoi couple, Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin, performed what must now be their gala signature piece – the *Diana and Acteon* pas de deux. They do it well with high strong jumps and good balances but were hampered here by a very slow tempo which dragged their steps somewhat. However, they didn't let on and were radiant throughout.

Angel Corella was the last foreigner to perform, this time in *Suspended in Time* by young British choreographer and dancer Russell Ducker. It is a perfect piece for Corella, showing off all his pyrotechnical skills and his charismatic nature and the audience loved it.

What Georgian gala would be complete without focusing on national traditions and heritage? The company gave the first performance of Gia Marghania's *Khorumi from Heart of the Mountains*, and danced with great precision and pride. Nina repeated her male Georgian dance seen at the last gala, with a huge beam on her face, and then suddenly she was back on stage with all her guests in a beautiful feathery ball gown as glitter tumbled down on them all. She received a long stemmed red rose from every member of her company, from her dancing guests, from her old partners and friends and later at the party, as midnight chimed, we all sang 'Happy Birthday' to her and President Saakashvili tossed her into the air, just before little Elena solemnly took the microphone to sing greetings to her mother in Georgian. Our question as we left the wonderful evening was: will we be back to celebrate her 50th birthday next year and find her still dancing? We all hope so!



## იაპონური გაზაფხული

საქართველოს საგარეო საქმეთ მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და იაპონიის ელჩი მასაიოში კამოჰარა
MINISTER OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA GRIGOL VASHADZE, AMBASSADOR OF JAPAN TO GEORGIA MASAYOSHI KAMOHARA

იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-20 წლისთავს მიეძღვნა იაპონიის კულტურის თვე „იაპონური გაზაფხული“, რომელიც 18 თებერვალს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში, ბალეტის გალა-კონცერტით გაიხსნა. კონცერტში მონაწილეობისათვის საქართველოში იაპონიის საელჩომ სპეციალურად მოიწვია კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები შინობუ ტაკიტა და სერგეი სიდორსკი. მოწვეულმა მოცეკვავეებმა იცეკვეს მთავარი პარტიები ა.ადანის ბალეტ „ჟიზელის“ მეორე მოქმედებაში და ადაჟიო ნ. რიმსკი-კორსაკოვის ბალეტიდან „შეჰერეზადა“. გალა-კონცერტში მონაწილეობდა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი და საბალეტო დასი. „იაპონური გაზაფხულის“ გახსნის წინ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და საქართველოში იაპონიის ელჩმა მასაიოში კამოჰარამ. კულტურის დღეების გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.



მასაიოში კამოჰარა და სერგეი სიდორსკი. „შეჰერეზადა“
MASAYOSHI KAMOHARA, SERGEI SIDORSKI. *SHEHERAZADE*



მასაიოში კამოჰარა და სერგეი სიდორსკი „ჟიზელი“
MASAYOSHI KAMOHARA, SERGEI SIDORSKI. *GISELLE*

## SPRING OF JAPAN

The 20th anniversary of establishment of diplomatic relations between Japan and Georgia was the subject of the Japanese Cultural Month titled *Spring of Japan*, opened at the Alexander Griboedov State Russian Drama Theatre with a ballet gala. Embassy of Japan in Georgia specially invited Shinobu Takita and Sergey Sidorsky – principal dancers of the Kiev Opera and Ballet Theatre – for participation in the concert. The invited artists danced leading roles of the II act of *Giselle* by Adolphe Adam and the adagio from *Scheherazade* by Nikolai Rimsky-Korsakov. The gala also featured Nina Ananiashvili and the State Ballet of Georgia.

Speeches by Minister of Foreign Affairs of Georgia Grigol Vashadze and Ambassador of Japan to Georgia H.E. Masayoshi Kamohara preceded the opening of *Spring of Japan*, attended by President of Georgia Mikheil Saakashvili.

## გასტროლები/TOURS

### გასტროლი ესტონეთში

17-20 მაისს ესტონეთში, ტალინთან ახლოს, ქალაქ რაკვერეში, გამართულ საბალეტო ფესტივალზე, საბალეტო დასმა ტეტ კასკის ერთმოქმედებიანი ბალეტები „უფრთოდ ფრენა წყვდიადში“ და „Tampopo“ წარმოადგინა. ესტონელმა ქორეოგრაფმა თანამედროვე ბალეტები დასთან 2011-2012 წ.წ. სეზონზე დადგა.

### TOUR TO ESTONIA

On May 17-20 in an Estonian town Rakvere near Tallinn, the State Ballet of Georgia danced one act ballets *A Wingless Flight Into the Darkness* and *Tampopo* by Teet Kask. The Estonian choreographer staged the contemporary ballets during the 2011-2012 season.

### გასტროლი კიევსა და მინსკში

23-24 მარტს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი გასტროლზე იმყოფებოდა მინსკში. ბელორუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა („მოცარტიანა“, „Duo Concertant“, „Falling Angels“, „წამი გარდასახვამდე“, „ბიზე ვარიაციები“, „მანიერიზმის მშვენიერებანი“). სპექტაკლებს დავით მუქერია დირიჟორობდა. 26 მარტს საბალეტო დასს გამოსვლა ჰქონდა კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში. წარმოდგენილი იქნა: „საგალობელი“, „მანიერიზმის მშვენიერებანი“ და „Duo Concertant“.

### TOURS TO KIEV AND MINSK

On March 23-24 the State Ballet of Georgia were on tour to Minsk. The National Academic Bolshoi Opera and Ballet Theatre of Belarus hosted a program of one act ballets (*Mozartiana, Duo Concertant, Falling Angels, Second Before the Ground, Bizet Variations, Charms of Mannerism*) by the company, conducted by David Mukeria. March 26 saw performances of Sagalobeli, Charms of Mannerism and Duo Concertant at the Kiev Opera and Ballet Theatre.



ჩელიტა – ნინო მათიაშვილი.
„დონ კიხოტი“
KITRI – NINO MATIASHVILI.
*DON QUIXOTE*

## ახალი სოლისტები

27 აპრილს, თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე, სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა დასის წევრებს ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გააცნო. ბალეტის მსახიობები ანა ალბუთაშვილი, ნინო მათიაშვილი და ეკა სურმავა დასის სოლისტები გახდნენ. „არაბესკი“ ულოცავს ახალგაზრდა მოცეკვავეებს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

## NEW SOLOISTS

On April 27, on the Tbilisi Concert Hall stage, upon the completion of a performance, artistic director Nina Ananiashvili informed dancers about the decision of the company to promote Ana Albutashvili, Nino Matiashvili and Eka Surmava to soloists. Arabesque would like to use the opportunity to congratulate the young dancers and wish them artistic success.

## დებიუტი

13 მაისს ლ. მინკუსის „დონ კიხოტში“ ჩელიტას პარტია პირველად იცეკვა საბალეტო დასის სოლისტმა ნინო მათიაშვილმა, ბაზილის პარტია კი – უილიამ სანტოსმა.

## DEBUT

On may 13 in *Don Quixote* by Ludwig Minkus, the Kitri role was performed for the first time by soloist of the company Nino Matiashvili, while William Santos had his debut as Basilio.



ჩელიტა –
ნინო მათიაშვილი,
ბაზილი –
უილიამ სანტოსი.
„დონ კიხოტი“
KITRI –
NINO MATIASHVILI.
BASILIO – WILLIAM
SANTOS.
*DON QUIXOTE*

7 აპრილს „გედების ტბის“ პა დე ტრუაში პირველად იცეკვა უილიამ სანტოსმა, ნეაპოლიტანურ ცეკვაში კი შედგა მამუკა კიკალიშვილის დებიუტი.

On April 7 William Santos performed the pas de trois of *Swan Lake* for the first time, while Mamuka Kikalishvili had his debut in The Neapolitan Dance.



ნინო ანანიაშვილი,
დენის კლიმუკი.
„სიმფონიური ვესტერნი“
NINA ANANIASHVILI,
DENIS KLIMUK.
*WESTERN SYMPHONY*

27 აპრილს „სიმფონიურ ვესტერნში“ მეორე ნაწილი პირველად იცეკვეს ნინო ანანიაშვილმა და დენის კლიმუკმა, მესამე ნაწილში პირველად გამოვიდა უილიამ სანტოსი.

On April 27 Nina Ananiashvili and Denis Klimuk danced the second part of *Western Symphony* for the first time, while William Santos performed his maiden appearance in the third.

12 მაისს „დონ კიხოტში“ გრან პას მეორე ვარიაცია პირველად იცეკვა ეკა სურმავამ. 13 მაისს „დონ კიხოტში“ გრან პას პირველ ვარიაციაში პირველი გამოსვლა ჰქონდა ნინო სამადაშვილს. „ამურში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ: 12 მაისს- ოლია დოლიძეს, 13 მაისს - გვანცა გავაშელიშვილს.

On May 12 Eka Surmava had her debut in the second variation of the *Don Quixote* grand pas. The first variation saw the first performance by Nino Matiashvili on May 13, while the “Cupid” was danced for the first time by Olya Dolidze on May 12 and Gvantsa Gavashelishvili on May 13.



ამური - გვანცა
გავაშელიშვილი.
„დონ კიხოტი“
CUPID – GVANTSA
GAVASHELISHVILI.
*DON QUIXOTE*



ლეგენდარული

# მარის ლიეპას

საიუბილეო კონცერტი თბილისში

Anniversary concert of the legendary

# Maris Liepa

in Tbilisi

7 ივნისს თბილისის საკონცერტო დარბაზმა ბალეტის ლეგენდარული მოცეკვავის მარის ლიეპას საიუბილეო კონცერტს უმასპინძლა. ერთი კვირით ადრე თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში ამ თარიღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიხსნა.

პროექტის ავტორი და რეჟისორი ლეგენდარული მოცეკვავის შვილი ანდრის ლიეპა გახლდათ. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე „პრაიმ  თაიმის“ პრეს-კლუბში ანდრის ლიეპამ აღნიშნა, კონცერტის ჩატარების იდეა მას ნინო ანანიაშვილის საიუბილეო საღამოზე ყოფნისას გაუჩნდა.

On June 7 the Tbilisi Concert Hall hosted an anniversary concert for the legendary Maris Liepa. A week prior a photo exhibition dedicated to the anniversary also opened at the Tbilisi Music and Drama Theatre.

Andris Liepa – son of the famous dancer – was the author and director of the project. As he noted when speaking at press conference at the Prime Time Press Club, the idea of the concert came to him while attending the anniversary event for Nina Ananiashvili.

„ნინოს იუბილეზე ვნახე, როგორ რეაგირებს მაყურებელი ბალეტზე და დაიბადა იდეა, რომ მამაჩემის იუბილე სწორედ თბილისში გამართულიყო. ერთ თვეზე ცოტა ხნის წინ თბილისში კონცერტი გამართა ჩემმა მეგობარმა ვალერი მელაძემ. მე ვნახე, როგორ მიიღო მაყურებელმა მონატრებული მომღერალი, მოდიოდა უდიდესი ემოცია დარბაზიდან და სცენიდანაც იგივე უბრუნდებოდათ. მივხვდი, რომ ქართველი მაყურებელი ჭკვიანია და იმედი მაქვს, ჩვენს კონცერტზეც ასეთივე ემოცია იქნება“, — აღნიშნა ანდრის ლიეპამ.

კონცერტში მარის ლიეპას ქალიშვილი ილზე და მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ნიკა ცისკარიძე მონაწილეობდნენ. მათთან ერთად კონცერტზე მაყურებელმა ბალეტის სამყაროს  კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სახე  იხილა. კონცერტი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ჩატარდა.

“I saw how people reacted on ballet and thus decided to stage my father’s anniversary in Tbilisi. A little over a month ago my friend Valery Meladze also held a concert in Tbilisi and I saw the interaction between the singer and the audience which longed to see him again. The evening held emotion directed both from the stage and to it. I learned that the Georgian audience is very intelligent, so I hope for similar emotion at our concert”, he said.

The concert featured Ilse Liepa – daughter of Maris – as well as Nika Tsiskaridze, soloist of the Bolshoi Theatre of Moscow. The audience also got to see other important faces of the world ballet. The evening was held in support of the children suffering from Leukemia.



ილზე და მარის ლიეპა თბილისში
ILSE AND MARIS LIEPA IN TBILISI

# ნინო კერესელიძე
# Nino Kereselidze



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია და საბალეტო დასი მწუხარებას გამოთქვამენ კონცერტმაისტერის ნინო კერესელიძის გარდაცვალების გამო. ნინო 23 წლის განმავლობაში მუშაობდა თეატრის საბალეტო დასის კონცერტმაისტერად და დასის ყოველი წარმატება გარკვეულად უკავშირდება მისი, როგორც ამ კოლექტივის ერთ-ერთი წარმომადგენლის, საქმიანობას.

Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Administration and the State Ballet of Georgia would like to express their deep sadness due to the passing away of concert master Nino Kereselidze. Nino worked as concert master of the ballet company for 23 years and every success of the company is tied to the work done by her as its representative.

ძნელია წარმოიდგინო, შეეგუო როცა 25 წლიანი თანამშრომლობა, კოლეგიალობა, მეგობრობა წამებში მთავრდება. თუმცა ცხოვრება არასოდეს დაგავიწყებს ახლობელს, რომელთან ერთადაც გაატარე ცხოვრებისა და მუშაობის მოზრდილი მონაკვეთი. აქედან გამომდინარე იგი ყოველ წუთს გახსენებს თავს სიხარულისა თუ მწუხარების ჟამს. ვერ დავეთანხმები ძალიან ცუდ მოსაზრებას  — „შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ“. თითოეული ჩევნგანი შეუცვლელი და არდასავიწყებელია. ნინო არასდროს დაგვავიწყდება. ამ იმედით განვაგრძობთ სიცოცხლეს.

**ნიალა გოძიაშვილი, *წამყვანი რეჟისორი***

ჩვენს შორის აღარ არის ნინო კერესელიძე. ჩვენი კოლეგა, მეგობარი, საბალეტო დასის კონცერტმაისტერი. პირველი შეხვედრა 1989 წელს შედგა, როდესაც თეატრში სამუშაოდ მოვედი. ჩვეული ღიმილით შემხვდა და პირველი შეკითხვა დამისვა — იცი რა უნდა გააკეთო?. იგი ჩემთვის არაჩვეულებრივი გზამკვლევი აღმოჩნდა ახალ საქმეში. ასე დაიწყო ჩვენი, როგორც კოლეგების  ურთიერთობა, რომელიც მეგობრობაში გადაიზარდა. ბუნებით ესთეტი, აზროვნებით თავისუფალი და სულით მაძიებელი — ასეთი იყო ნინო, რომელსაც ყველასთან ინდივიდუალური დამოკიდებულება ჰქონდა. თუნდაც უმნიშვნელო საკითხზე საუბარს იგი ლამაზ გარემოში ამჯობინებდა. მისი სახლი ყოველთვის გამოირჩეოდა სათითაოდ შერჩეული დეტალებით, ფერებით და შტრიხებით, მომხიბვლელი დიზაინით. მასთან სტუმრობა — ეს გახლდათ ყოველდღიური დამღლელი ატმოსფეროდან განტვირთვის საშუალება. მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით გპასუხობდათ, გიყვებოდათ, ამხნევებდა ირგვლივ მყოფთ. საოცარია, სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, როგორ დაუდევრად ეკიდებოდა საკუთარ თავს, რის გამოც ასე უდროოდ დაესვა წერტილი მის ამქვეყნიურ ცხოვრებას. მაპატიე კერეს, რომ ეს სიტყვები ვერ გადმოსცემს სრულად უშენობით გამოწვეულ ტკივილს. ხშირად თვალებით გეძებ დარბაზში, როიალთან, მერე ვცდილობ ეს ტკივილი ასე გავალამაზო ხოლმე: „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“.

**ნინო ცქირია, *კონცერტმაისტერი***

# მთავარ როლში –
# ნინო ანანიაშვილი






ღია ცის ქვეშ, თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, ადაჟიო ს. პროკოფიევის ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“, ნინო ანანიაშვილმა პირველად იცეკვა. ეს ცნობილი კლასიკური დუეტი იმ ფილმის ნაწილი იქნება, რომელსაც მაყურებელი სულ მალე იხილავს. დოკუმენტური სურათი პრიმა-ბალერინას სცენაზე გატარებული 30 წლის იუბილეს ეხმიანება და მის განვლილ შემოქმედებით გზაზე მოგვითხრობს. ცეკვისათვის უცნაური გარემო საბალეტო სცენების გადასაღებად რეჟისორმა კახა კიკაბიძემ შეარჩია. პრიმა-ბალერინას მდიდარ საარქივო მასალებთან ერთად რეჟისორი მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავის პორტრეტს მაყურებელს საკმაოდ ორიგინალური კუთხით აჩვენებს. გადაღებები, ღია ცის ქვეშ, თბილისის სხვადასხვა კუთხეში – ბოტანიკურ ბაღში, თბილისის ზღვაზე გაგრძელდა.

ნინო ოჩიაურისა და ავთანდილ გურგენიძის ფოტორეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან სპეციალურად „არაბესკისთვის“.



# Featuring Nina Ananiashvili
## in the leading role



It was the first occasion for Nina Ananiashvili of dancing the adagio from Sergei Prokofiev's *Romeo and Juliet* in an open air performance at the Tbilisi railway station platform. This well-known classical duet will form part of the film to be presented to the audience soon. The documentary is related to the 30 years of the ballerina's stage performances and tells about her artistic career. This strange environment for ballet scenery was chosen by director Kakha Kikabidze, who plans to show the world ballet star in a different light, as well as present the rich archive material about the prima ballerina. The filming continued in other open air parts of Tbilisi – the botanical garden and the Tbilisi Sea.

Photo report by Nino Ochiauri and Avtandil Gurgenidze from the filming location – exclusively for Arabesque – is presented here.











# ანარეკლი
# Reflections

ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გალა-კონცერტზე შესრულებული ფრაგმენტის შემდეგ მაყურებელს 27 აპრილს პირველად მიეცა საშუალება იური პოსოხოვის ბალეტი „ანარეკლი" სრულად ენახა. ერთმოქმედებიანი ბალეტის პრემიერა თბილისის საკონცერტო დარბაზში ქართული ხელოვნების საღამოების ფარგლებში, შედგა. ცნობილი თანამედროვე ქორეოგრაფის იური პოსოხოვის ამ წარმოდგენამ ნინო ანანიაშვილზე ბოლო წლების მანძილზე ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ გადაწყვიტა პოსოხოვი თბილისში მოეწვია და სან ფრანცისკო ბალეტის შემდეგ „ანარეკლი" თბილისშიც დაიდგა.

After the excerpt performed at the gala for the 30 years anniversary of Nina Ananiashvili on stage, on April 27 audience had the first opportunity to see *Reflections* by Yuri Possokhov in full. The premiere of the one act ballet took place at the Tbilisi Concert Hall in frame of the Evenings of Georgian Art. This production by the well known contemporary choreographer impressed Nina Ananiashvili the most in recent years, so she decided to invite Possokhov to Tbilisi for staging the ballet here following its premiere at San Francisco Ballet.



**ნინო ანანიაშვილი:** „ბალეტი თავიდანვე ძალიან მომეწონა. მართალია რთულია შესასრულებლად, მაგრამ საოცრად ლამაზია, სინქრონული, შთამბეჭდავი, ორიგინალური კოსტიუმებით. ბალეტში მე ადაჟიოს ვცეკვავ, რომელიც „გედების ტბას" მაგონებს, უფრო ზუსტად „გედების" თანამედროვე ინტრეპრეტაციას."

„ანარეკლი" ფ. მენდელსონის პირველ სიმფონიაზეა დადგმული. საბალეტო დასის სოლისტებთან და კორდებალეტთან ერთად ადაჟიო ბალეტში ნინო ანანიაშვილმა იცეკვა, ამჯერად ბელორუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური თეატრის წამყვან მოცეკვავესთან დენის კლიმუკთან ერთად.

**დენის კლიმუკი,** *მინსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი მოცეკვავე*: „ჩემთვის დიდი პატივია, რომ ნინო ანანიაშვილმა კვლავ მომიწვია თბილისში. ქართულ საბალეტო დასს კარგად ვიცნობ. ამჯერად „ანარეკლში" თავად ქალბატონ ნინოს ვუწევ პარტნიორობას. ვთვლი, რომ ცხოვრებამ ასეთი საჩუქრით დამაჯილდოვა. ეს



დიდი გამოცდილებაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ბალეტი ძალიან მომწონს. ბოლო დროს შექმნილ ნამუშევრებს შორის „ანარეკლს" გამოვარჩევდი. იგი ძალიან ლამაზი და კარგი შესასრულებელია".

იური პოსოხოვი, რომელიც სან ფრანცისკო ბალეტში მოღვაწეობს, ქართული საბალეტო დასისთვის პირველად არ დგამს. ქართულ მელოდიებზე შექმნილი ბალეტი „საგალობელი", რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა უცხოეთში, ქორეოგრაფმა თბილისში 2008 წელს დადგა. „საგალობელი", ჯორჯ ბალანჩინის „სიმფონიურ ვესტერნთან" ერთად, წარმოდგენილი იყო ქართული ხელოვნების საღამოს პროგრამის ფარგლებში, რომელშიც საბალეტო დასი და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი დავით მუქერია) მონაწილეობდა.

**Nina Ananiashvili,** *prima ballerina*: "I was very impressed by the ballet. Technically it is tricky, but amazingly beautiful, synchronic, impressive, and with original costumes. I dance the adagio, which, in my view, resembles Swan Lake, or it's contemporary



interpretation, to be more precise."

Reflections was staged on Symphony No. 1 by Felix Mendelssohn. Besides the soloists and corps de ballet of the company, the ballet also featured Nina Ananiashvili, with her partner this time Denis Klimuk, principal dancer of the National Academic Bolshoi Opera and Ballet Theatre of Belarus.

**Denis Klimuk,** *principal dancer of the National Academic Bolshoi Opera and Ballet Theatre of Belarus*: "It is great honour for me to have been once more invited to Tbilisi by Nina Ananiashvili. I know the State Ballet of Georgia very well. This time I partnered Nina and regard this opportunity as a gift from life, a great experience and responsibility. I like Reflections a lot – I would say it is remarkable among the recent works, being very beautiful and nice to perform."

Yuri Possokhov, working for the San Francisco Ballet, is not new to staging for the State Ballet of Georgia. Sagalobeli – staged on Georgian folk melodies and becoming a trademark for the Tbilisi Opera and Ballet Theatre company abroad – was created by the choreographer in 2008. It also was a ballet performed on Evenings of Georgian Art, the program also including Western Symphony by George Balanchine on program that also featured Tbilisi Opera and Ballet Theatre orchestra (conductor David Mukeria).



## კონკურსის გამარჯვებულნი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ახალგაზრდა მოცეკვავეები საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელები გახდნენ. ნუცა ჩეკურაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა რიგაში გამართულ მე-8 საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე „რიგის გაზაფხული 2012“ პირველი ადგილი მოიპოვეს. საერთაშორისო ასპარეზზე ეს მათი პირველი გამოსვლა იყო. საკონკურსო პროგრამაში წარმოადგინეს პა დე სკლიავი ბალეტიდან „კორსარი“ და მათთვის სპეციალურად დადგმული თანამედროვე ნომერი (ქორეოგრაფი ტ. კასკი). „არაბესკი“ უერთდება საბალეტო დასის მოლოცვებს და ახალგაზრდა მოცეკვავეებს შემდგომ წარმატებებს უსურვებს.


ნუცა ჩეკურაშვილი,
მამუკა კიკალიშვილი.
პა დე სკლიავი
NUTSA CHEKURASHVILI,
MAMUKA KIKALISHVILI.
PAS DÉ SLAVE

## WINNERS OF CONTEST

Young dancers of the State Ballet of Georgia have won Grand Prix of an international competition. Nutsa Chekurashvili and Mamuka Kikalishvili are the winners of the VIII International Ballet Competition "Riga Spring 2012" in Latvia. This was their first appearance on international stage. They performed pas dé sclave from *Le Corsaire* and a contemporary number staged specially for them by Teet Kask. Arabesque joins the congratulations by the company and wishes more success to the young dancers.

## ნინო ანანიაშვილის ფონდის საღამო

10 ივნისს ნინო ანანიაშვილის ფონდმა საქველმოქმედო საღამო გამართა. სამგანყოფილებიან საღამოში მონაწილეობდნენ საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები და საბალეტო დასის მოცეკვავეები. კონცერტში ნინო ანანიაშვილმაც მიიღო მონაწილეობა.

## EVENING OF THE NINA ANANIASHVILI FOUNDATION

On June 10 the Nina Ananiashvili Foundation held an anniversary event. The three-act program featured students of the State School of Ballet Art and dancers of the State Ballet of Georgia. Nina Ananiashvili also participated in the show.


ეკა სურმავა,
ვასილ ახმეტელი.
„გედების ტბა“
EKA SURMAVA,
VASIL AKHMETELI.
*SWAN LAKE*

## ნინო ანანიაშვილი პეკინისა და ლისაბონის ცეკვის აკადემიაში

2012 წლის მაისში ნინო ანანიაშვილმა, რომელიც გასულ წელს პეკინის აკადემიის საპატიო პროფესორი გახდა, აქ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნას“ სიუიტა დადგა (ა. ფადეეჩევისა და ნ. ანანიაშვილის ქორეოგრაფია). პრემიერა პეკინის აკადემიაში 20 მაისს გაიმართა. პეკინის ცეკვის აკადემიასთან თანამშრომლობა 2011 წელს დაიწყო, როცა ნ. ანანიაშვილმა აკადემიის გამოსაშვები კურსისათვის „შოპენიანა“ დადგა. 2012 წლის თებერვალში ნინო ანანიაშვილი, პედრო კარნიეროს მიწვევით, ლისაბონის საბალეტო სკოლაშიც იმყოფებოდა, სადაც დადგა სიუიტა ლ. მინკუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი“. დადგმების დროს პრიმა-ბალერინას ასისტენტობას ე. შავლიაშვილი უწევდა.

## NINA ANANIASHVILI AT THE LISBON DANCE ACADEMY

In May 2012 Nina Ananiashvili – granted the title of professor at the Beijing Dance Academy last year – staged a suite of *The Nutcracker* by Pyotr Tchaikovsky (choreography by Alexei Fadeechev and Nina Ananiashvili). The premiere took place on May 20 at the academy. Eka Shavliashvili was assistant to the prima ballerina. The collaboration with the Beijing Dance Academy began in 2011, when Ananiashvili staged *Chopiniana* for a graduation class of the academy. Ananiashvili also staged suite from *Don Quixote* at the Escola de Danca do Conservatorio Nacional in Lisbon, Portugal after invitation by Pedro Carniero.

## ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოშვება



15 მაისს ვ. ჭაბუკიანის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრში 2011-2012 სასწავლო წლის გამოსაშვები საღამო გამართა. ორგანყოფილებიან კონცერტში სასწავლების მოსამზადებელი ჯგუფებისა და ყველა კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი კლასიკური და თანამედროვე საბალეტო ნომრები სასწავლებლის პედაგოგებმა სპეციალურად გამოსაშვები საღამოსთვის დადგეს. ტრადიციულად გამოსაშვები საღამოსთვის სასწავლებელი საბალეტო სპექტაკლს წარმოადგენს. ამჯერად მაყურებელს წარუდგინეს ი. მოროზოვის ბალეტი „ ექიმი აიბოლიტი“ ( ო. ბერიძისა და ლ. კანდელაკის ქორეოგრაფიული რედაქცია). მთავარი პარტიები სასწავლებლის მოსწავლეებმა და საბალეტო დასის მსახიობებმა იცეკვეს.

## GRADUATION AT THE CHOREOGRAPHIC SCHOOL

The Vakhtang Chabukiani State Choreographic School organized a graduation evening of the 2011-2012 class at the Alexander Griboedov State Russian Drama Theatre on May 15. The two-act concert featured students of preparatory groups and all classes of the school. The first act included classical and contemporary ballet numbers staged by the pedagogues specially for the occasion. This time the audience was presented with *Aybolit* by I. Morozov (choreographic redaction by O. Beridze and L. Kandelaki). The leading roles were performed by students of the school and soloists of the State Ballet of Georgia.



## 160-ე სეზონის დახურვა

16 და 17 ივნისს 160-ე საბალეტო სეზონი დაიხურა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა („ბიზე ვარიაციები“, „Duo Concertant“ და „Falling Angels“) და მეორე მოქმედება პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“. ოდეტას პარტია პირველად შეასრულა ეკა სურმავამ, რომელსაც პარტნიორობას უწევდა ვასილ ახმეტელი.

## CLOSING OF THE 160TH SEASON

The 160th ballet season was concluded on June 16 and 17. Alexander Griboedov State Russian Theatre hosted a program of one-act ballets (*Bizet Variations, Duo Concertant* and *Falling Angels*) and the II act from Swan Lake by Pyotr Tchaikovsky, where the role of Odette was performed for the first time by Eka Surmava, partnered by Vasil Akhmeteli.



**ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები**

**LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET**

სეზონი 2011/2012 SEASON

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჯონ ბასი და ჰოლი ჰოლცერ ბასი<br>John Bass and Holly Holzer Bass | ოქრო<br>Gold |
| 2. | ლადო და ლარისა გურგენიძეები<br>Lado and Larissa Gurgenidze | ოქრო<br>Gold |
| 3. | ნეილ და მიშელ დანები<br>Neil and Michele Dunn | ოქრო<br>Gold |
| 4. | მასაიოში და ჯუნკო კამოჰარები<br>Masayoshi and Junko Kamohara | ოქრო<br>Gold |
| 5. | გიორგი ჭირაქაძე და სარა ვილიამსონი<br>George Chirakadze and Sarah Williamson | ოქრო<br>Gold |
| 6. | პოლ ჰენრი და კეროლაინ ფორისტირები<br>Paul-Henri and Caroline Forestier | ოქრო<br>Gold |
| 7. | ტაიბ ბარუარი<br>Taib Barwari | ოქრო<br>Gold |
| 8. | ფილიპ დუვეზი<br>Philippe Limet Dewez | ოქრო<br>Gold |
| 9. | მარინა ვაჩნაძე<br>Marina Vachnadze | ოქრო<br>Gold |
| 10. | კარენ ვოლფსონი<br>Karen Wolfson | ოქრო<br>Gold |
| 11. | ლენა კილაძე<br>Lena Kiladze | ოქრო<br>Gold |
| 12. | ქეითი მაქლეინი<br>Cathy McLain | ოქრო<br>Gold |
| 13. | მაია ფრენკ-ჰენიგი<br>Maya Frank-Hennig | ოქრო<br>Gold |
| 14. | ანდრეას ჰეიდინგსფელდერი<br>Andreas Heidingsfelder | ოქრო<br>Gold |
| 15. | მაკა გოცირიძე<br>Maka Gotsiridze | ვერცხლი<br>Silver |
| 16. | მიშელ დეროჰანესიანი<br>Michele Derohanesian | ვერცხლი<br>Silver |
| 17. | ელენა დიმიტროვა<br>Elena Dimitrova | ვერცხლი<br>Silver |
| 18. | იზაბელა და შარლოტ ემბორგები<br>Isabella and Charlotte Emborg | ვერცხლი<br>Silver |
| 19. | ალა თურმანიძე-ქოვგილი<br>Ala Turmanidze-Cowgill | ვერცხლი<br>Silver |
| 20. | ივა იესტრაბოვა<br>Eva Jestrabova | ვერცხლი<br>Silver |
| 21. | პიტერ და მიკე ლან გენბერგები<br>Pieter and Mieke Langenberg | ვერცხლი<br>Silver |
| 22. | პიერ ორლოვი<br>Pierre Orloff | ვერცხლი<br>Silver |
| 23. | იაროსლავა (ლოლა) პეტროვა<br>Yaroslava (Lola) Petrova | ვერცხლი<br>Silver |
| 24. | თამარ რთველიაშვილი<br>Tamar Rtveliashvili | ვერცხლი<br>Silver |
| 25. | მერი ჰოლცერი<br>Mary Holzer | ვერცხლი<br>Silver |

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:**
**For additional information, please call:**

(995 32) 235 75 03

# ქართული ბალეტის
*მეგობართა საზოგადოება*

გთხოვთ გაწევრიანდეთ *ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში*, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

*ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების* დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი** და **ლილი ჰაუფი**. საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი** და **ინა გუდავაძე**.

მმართველობითი საბჭოს თანათავმჯდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი** და **მიშელ დანი**; საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი**.

*ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების* მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani,** and **Elisabed Sagaradze**. Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson** and **Michele Dunn**; Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft.**

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre D. Sakvarelidze.

*Friend of*
# THE GEORGIAN BALLET




ლაი ლაი
0.5
თეთრი
1მბ - 0.5 თეთრიდან!
შედი ინტერნეტში!
*140# OK
ჯეოსელი
1199 - ყველა ადგილობრივი ქსელიდან
www.geocell.ge